ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 15 მარტი, 2011 №62 (5443) ფასი: 30 თეთრი

## „რუსთავი 2“ ფასიანი ხდება?



ცოტა ხნის წინ გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ „რუსთავი 2“ შეიძლება ფასიანი გახდეს. არხმა ყველა საკაბელო ოპერატორს შეუწყვიტა ხელშეკრულება.

ვარაუდობენ, რომ ეს დაკავშირებულია „რუსთავი 2“-ის ფასიან მომსახურებაზე გადასვლასთან.

*ათბ-ნიუსი*

# ვინ მიიტაცა მადნეული?! გვ.2

ბეჟუაშვილები შაორის წყალსაცავის მიტაცებასაც აპირებენ



გვ.2

## ხელისუფლებას რისხვის დღე უნდა დავუყენოთ!



## ხელისუფლება ოპოზიციისგან გარანტიებს ითხოვს

გვ.3

სააკაშვილი ამერიკაში ახალ მხარდამჭერებს ეძებს



გვ.4

## დეპუტატები მინისტრებს „დაკითხავენ“

## ქართველი დეპუტატები რუსმა გენერალმა აღაშფოთა



გვ.4

## საქართველო იაპონიას დაეხმარება



გვ.5



გვ.5

## ხეთაგური ახალი პესის აშენებას გვპირდება

## რა საფრთხეებს გვიქმნის სომხეთის ატომური სადგური გვ.6

ჩერნობილი ისევ საშიშია



## პოლიტიკური პატიმარი, სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია 2 წელია უკანონო პატიმრობაში იმყოფება და ხელისუფლება მასზე ზეწოლას აგრძელებს!



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 რუსეთი ვმო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე შევა?

9 ლაშა გამყრელიძე: „ბესენში“ დარჩენა აღარ მინდა

8 ველმა მოდელს მკერდზე უკბინა და მოკვდა

9 ქართველი ტალანტი უეფას ობიექტივში

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ვინ მიიტაცა მადნეული?!

## ბეჟუაშვილები შაორის წყალსაცავის მიტაცებასაც აპირებენ



**„თავისუფალი საქართველოს" პოლიტსაბჭოს წევრის, გია ყრუაშვილის მტკიცებით, საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე მონოპოლიზირებულია ხელისუფლებასთან დაახლოებული ერთეული ე.წ. ბიზნესმენების და მმართველი გუნდის ოჯახის წევრების მიერ და აქედან ამონაღები თანხები კი ილექება ქვეყნის გარეთ, ოფშორულ ზონებში, მათივე ანგარიშებზე. ქვეყნის ბიუჯეტი კი ივსება საპროცესო გარიგებების, ჯარიმებისა და სხვადასხვა ბიზნესის დაყაჩაღების გზით. წვრილი და საშუალო ბიზნესი კი კვდება, რაც მიზანმიმართულად კეთდება. ბატონი გია „ახალ თაობას" ამ საკითხზე ესაუბრა.**

**გია ყრუაშვილი:**

— ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ტყიბულის ნახშირი მორგებულია ბეჟუაშვილების ოჯახზე. ქვანახშირი მთლიანად გადის ქვეყნის გარეთ და მისი ღირებულებაც იქვე, ქვეყნის გარეთ ილექება, საქართველოში კი თეთრიც არ შემოდის. ამ საწარმოში არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა და არსებული სიმძლავრეების და მინუსი შრომის ხარჯზე მილიონები ბეჟუაშვილების ჯიბეში მიემართება. იქ ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელი შახტები აამუშავეს. ინფრასტრუქტურის მოწყობა კი იგნორირებულია. რიგითი მუშის ხელფასი 200-300 ლარია, დირექტორის კი 3 ათასი. ბატონ ბეჟუაშვილს, გადაწყვეტილი აქვს შაორის წყალსაცავის თავის თავზე მორგებაც, ელექტროსადგურების მშენებლობა და უცხოეთში ელექტროენერგიით ფულის კეთება.

— ***რა გაძლევთ ასე ფიქრის საფუძველს, ამას რაზე დაყრდნობით აცხადებთ?***

— მე მაქვს ასეთი ინფორმაცია და დამერწმუნეთ, შაორის წყალსაცავს ბატონი ბეჟუაშვილი, თუ უკვე არა, ძალიან მალე, უახლოეს მომავალში თავის თავზე მოირგებს. ანუ აღნიშნული ბიზნესიც, ელექტროსადგურის მოწყობა, გაყიდვა და აქედან შემოსული თანხები მათი კუთვნილება გახდება. შაორის წყალსაცავი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებშია მოწყობილი. ის შრომა, რაც ელექტროენერგიის გამომუშავებას სჭირდება — 60% დღეისთვის უკვე მზად არის. ყველაფერი ამ ადამიანების ხელშია, მე კი, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, რომ მოვინდომო პატარა საქმის წამოწყებაც კი, შაორს და სხვა დიდ ბიზნესებს აღარ ვგულისხმობ, თუ არ იქნება ხელისუფალის ნება და თუ არ ვიქნები მმართველ გუნდთან დაახლოებული პირი, ვერ დავიწყებ. ერთი სიტყვით, საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე მთლიანად მონოპოლიზირებულია ხელისუფლებასთან დაახლოებული ერთეული ე.წ. ბიზნესმენებისა და ხელისუფლების ოჯახის წევრების მიერ. ანალოგიური მდგომარეობაა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატშიც.

— ***რას გულისხმობთ?***

— რას და ეს გიგანტური საბადო პრეზიდენტის დედის ძმას და ვინმე გენერალოვს აქვს მიტაცებული.

— ***თქვენ საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?***

— იმ ადამიანების სახელს და გვარებს, რომლებმაც მე ამის შესახებ მიამბეს, მათივე უსაფრთხოებისთვის ვერ დაგისახელებთ. დამერწმუნეთ, მადნეულის კომბინატი პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას ძმის ხელშია. მოგეხსენებათ, იქ არსებული წიაღისეულით ოქრო, სპილენძი და სასუქი (შაბიამანი) მზადდება. ეს ყველაფერი სად და რა რაოდენობით მიდის, კაცმა არ იცის და, რა თქმა უნდა, გამკითხავიც არავინაა. ჩემი ინფორმაციით კი, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის დედისა და მისი ძმის საკუთრებაა და აქედან შემოსული თანხებით მათი ჯიბეები ივსება. საქართველოში კი აქედანაც არაფერი რჩება. ამ საწარმოს შემოსავლებით კომუნისტების პერიოდში აშენდა კაჭრეთში მრავალსართულიანი სახლებით დაბა, თავისი ინფრასტრუქტურით. აშენდა მადნის გადამამუშავებელი ქარხანა, მოეწყო გზები მთებში საბადოებამდე, გადახსნილი იქნა კარიერის ფუჭი ქანები და მოეწყო მძლავრი საბადოს მომპოვებელი კარიერი. ასეთი ტიპის კარიერი მსოფლიოში იშვიათია. ანუ არ სჭირდება შახტებიდან მადანს ამოღება, იგი ზედაპირზეა. საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ქანების გადახსნა. აი, ამ ყველაფერს მოაჯდა „კლანი" და ამ ყველაფრით, ბიუჯეტის შევსების ნაცვლად, უზარმაზარი თანხები ილექება ამ პიროვნებების ჯიბეებში. მეტსაც გეტყვით, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაც ხელისუფლებასთან დაახლოებულ პიროვნებაზეა მორგებული. ვინმე, კოკაიაზე. ამ პიროვნებას სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დასაჭერად დასდევდა, თუმცა მისი ბევრი მეგობარი სააკაშვილთან დაახლოებული პირი იყო და ამ ფაქტორის გათვალისწინებით და დიდი ფულის გადახდის გამო იგი დაჭერას გადაურჩა. მეტიც, დასაჭერად გამზადებულ კაცს ქარხანაც კი ჩააბარეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ნედლეულს ეს ქარხანა ყიდულობს ცეცხლის ფასად უკრაინაში, მაშინ, როდესაც ჭიათურის მარგანეცის მოპოვება თითქმის გაჩერებულია.

— ***რატომ ხდება ასე?***

— ნედლეულის შესყიდვით თეთრდება ფული და აი, ამიტომ. ზესტაფონის ქარხნის ეს უნიკალური პროდუქცია (მანგანუმი), რომელიც აუცილებელია მეტალურგიული მრეწველობისთვის, ქვეყნის გარეთ გაედინება, თანხებს კი ერთეულები მოიხმარენ. ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება 80%-ით ზესტაფონის ფეროს, რუსთავის მეტალურგიული, რუსთავის აზოტის და მადნეულის ქარხნების შემოსავლებით ხდებოდა, დღეს კი მათი წვლილი მიზერულია. მეტსაც გეტყვით, მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყალი „ბორჯომი" არის ერთი ჯგუფის, შევარდნაძის მძახლის, ვინმე ახვლედიანის და „თიბისი ბანკის" დამფუძნებელ ხაზარაძის ხელში. ისინი იპყრობენ უცხოეთის ბაზრებს და ფულსაც იქ ინახავენ. ასევე რუსთავის აზოტი, რომლის ძირითადი პროდუქცია არის ამონიუმის გვარჯილა, მონოპოლიზირებული აქვს ხელისუფლებასთან დაახლოებულ ერთ ჯგუფს და ყველასთვის კარგად ნაცნობ ჯოზეფ ქეის. ამ პროდუქციის ძირითადი ნედლეული ჰაერია. ჰაერი იწნეხება და ქიმიური მინარევებით მიიღება მზა პროდუქცია. თვითღირებულებასთან შედარებით ფასი ათჯერ მაინცაა გაზრდილი. ქართველ გლეხს ამის ყიდვის საშუალება კი არ ეძლევა. ეს ე.წ. საერთაშორისო ფასებით ქვეყნის გარეთ იყიდება, თანხები კი, რა თქმა უნდა, „ძლიერი ამა ქვეყნისანის", ანუ ხელისუფლების ჯიბეებში ილექება.

— ***გამოდის, რომ ეს ხელისუფლებაც, წინა ხელისუფლების მსგავსად, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ჯიბის გასავსებად არის მოსული? ანუ, „ნაციონალები" არა ქვეყანაზე, არამედ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ?***

— კი ბატონო. ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან მხოლოდ იმის ფიქრში არიან, თუ როგორ და რით გაისქელონ ჯიბეები. აი, მხოლოდ და მხოლოდ ეს არის ჩვენი „ვარდყვავილოვანი" ხელისუფალის ამოცანა და საუბედუროდ, ამას მშვენივრად ართმევენ კიდეც თავს.

**ქეთი ხომერიკი**

# ხელისუფლებას რისხვის დღე უნდა დავუყენოთ!

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან



— ***დონალდ ტრამპთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, სააკაშვილი ერთ-ერთ ცნობილ გადაცემაშიც მიიწვიეს. ისე საუბრობდა სააკაშვილი, თითქოს წარმატებული ქვეყნის პრეზიდენტი ყოფილიყო. თქვენ როგორ შეაფასებდით მის ამერიკულ ვოიაჟს?***

— დიახ, სატელევიზიო გამოსვლაც ჰქონდა იქ, საკმაოდ საინტერესო კითხვები დაუსვეს. განსაკუთრებით რევოლუციებზე, აი, აღმოსავლეთში რომ რევოლუციები ხდება და თქვენ ერთ-ერთ ასეთ რევოლუციას უკვე უხელმძღვანელეთ თავის დროზე, უკვე გამოიარეთ ეს პროცესიო. ჩვენმა პრეზიდენტმა კი იქვე გააკეთა ასეთი განცხადება — მთავარი ის კი არ არის დროშები აფრიალონ, მთავარია ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ჰქონდეთ პროგრამა, ჰქონდეთ სამოქმედო გეგმა, რას სთავაზობენ ახალს საზოგადოებას და ასე შემდეგ. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, ახალი რა შესთავაზა საქართველოს მოსახლეობას ვარდების რევოლუციის შემდეგ და რა სასიკეთო ძვრები განახორციელა. გარკვეული ძვრები, რასაკვირველია, იყო, თუმცა, საკითხავია, რის ხარჯზე გაკეთდა ეს ყველაფერი. თუ როგორ შეეწირა ამ ყველაფერს ადამიანის უფლებები, როგორ შეეწირა ამას ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, როგორ გახდა ის უზურპატორი და ასე შემდეგ. თუმცა, მას ერთი სიტყვა არ უთქვამს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არის იმაზე უარესი, ვიდრე იყო შევარდნაძის დროს, რომ მოსახლეობა ცხოვრობს უკიდურეს სიდუხჭირეში. აი, ამ პრობლემებზე მას ყურადღება არ გაუმახვილებია. სააკაშვილი და მისი დღევანდელი ხელისუფლება ფაქტობრივად იზოლირებული არიან საზოგადოებისაგან და ეს თავად მოახდინეს. თვით იზოლაცია მოახდინეს, რის შედეგადაც ისინი მოსწყდნენ საზოგადოებას, რეალობას, მათ ამოწურეს ყველანაირი რესურსი, რომ მოხდეს საზოგადოების განვითარება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური კუთხით და ფაქტიურად ჩიხში არიან შესულნი.

— ***პრეზიდენტი არ თვლის, რომ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია, როგორც თავად აცხადებს, მალე ტრამპის სახელობის ორი დიდი ცათამბჯენი გვექნება...***

— კარგია, როცა სერიოზული ინვესტორი შემოდის საქართველოში, მაგრამ იქაც საუბარია ორი შენობის აშენებაზე, ერთი ბათუმში და ერთი თბილისში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მარტო ტურიზმზე დამყარებული ეკონომიური პოლიტიკა ფაქტობრივად ვერანაირ შედეგს ვერ იძლევა და დღეს საქართველო ვერშემდგარი სახელმწიფოა. საუბარი იმის შესახებ, რომ დღეს ყველაფერი ნორმალურად არის, სააკაშვილის მიერ დადგმული პიარია და ეს შეხვედრა ფაქტობრივად ემსახურებოდა პიარს. ამ დროს კი ჩვენს ქვეყანაში ყოველწუთს არის მოსალოდნელი, რომ სერიოზულმა გამოსვლებმა იფეთქოს.

— ***იმის ჩვენება უნდოდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის? ბიზნესის კეთების კუთხით საქართველო თურმე პირველ ადგილზე ყოფილა...***

— რატომღაც მე არ ვიცი, ეს სად იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ეს არის აფიორა, ეს არის ბლეფი და მე გამკვირვებია იმ ბიზნესმენების, რომლებიც მას უჯერებენ, მით უმეტეს, ასეთი სერიოზული ადამიანები და კომპანიები, როგორიც რამსველდი და მისი კომპანიაა. როგორც წესი, ასეთ კომპანიებს ჰყავთ თავიანთი ბიზნეს შპიონაჟები, ანუ ადამიანები, რომლებიც რეალურად არკვევენ სიტუაციას თუ რა ხდება ამა თუ იმ სახელმწიფოში. პირად მე შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი თავი, როდესაც ამერიკელი ბიზნესმენი ამბობს, რომ საქართველოში ამ მხრივ ეკონომიური მდგომარეობა არის გადასარევი. კარგი, გამოდის, რომ ეს კაციც თვალებში ნაცარს გვაყრის, რაც ძალიან ცუდია. მე სურვილი გამიჩნდა, რომ წერილი მივწერო ამ ადამიანს, რეალურად გაერკვიოს, რა ხდება საქართველოში. ხელისუფლება დაადგა იმავე ტაქტიკას, რა ტაქტიკასაც ადგებიან ხოლმე ტოტალიტარული სისტემები და რეჟიმები. ანუ დამალონ რეალობა, დახატონ იმიტირებული სურათი ქვეყნის კეთილდღეობისა, მაგრამ ხალხი ხომ ხედავს, რაც ხდება, ხალხისთვის აქ არაფერი არ კეთდება. პენსია, რომელსაც ის შეჰპირდა პენსიონერებს წლის ბოლოსთვის, ეს არის ზღაპარი, მათ შეუძლიათ ბიუჯეტიდან უამრავი თანხა აიღონ სხვადასხვა საქმისთვის, უაზრო საკითხებში დახარჯონ, რომელიც საერთოდ არ ემსახურება ხალხის ინტერესებს, პენსიისთვის კი თანხებს ვერ იმეტებენ. უახლოეს ერთ კვირაში ჩვენ ვაპირებთ ამ თემასთან დაკავშირებით პროგრამის ფართო საზოგადოებისათვის წარდგენას და სააკაშვილის ის განაცხადი, რომ არაფერს ახალს არ გვთავაზობს ოპოზიცია და ასე შემდეგ, ფაქტიურად მას ამის თქმის საბაბი აღარ ექნება. მან, როგორც ჩანს, კიდევ ერთი საკითხი ვერ გაათვითცნობიერა...

— ***რას გულისხმობთ?***

— საპროტესტო მუხტი და საზოგადოებაში დაგროვილი პროტესტი მიმართულია არა მარტო სააკაშვილის და ამ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც დღეს არსებობს, არამედ საზოგადოება ითხოვს, რომ განხორციელდეს არა მარტო სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, არამედ მთლიანად ამ სისტემის დემონტაჟი, რომელიც მოდელირებული ვარიანტია კომუნისტურ ბოლშევიკური რეჟიმისა. აი, ამის ცვლილება უნდა მოხდეს მთლიანად, თორემ სააკაშვილი წავა და ვიღაც სხვა მოვა, ამით არაფერი არ შეიცვლება ქვეყანაში. სისტემის ცვლაზეა საუბარი და რაც მთავარია, ოცი წლის ტანჯვა-წამების შემდეგ დადგა ჟამი იმისა, ვიცოდეთ, როგორი ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, რა გვინდა, თუ როგორ ავაშენებთ ეს მედლის მეორე მხარეა. აი, ამ ფუნდამენტალური საკითხების წინააღმდეგ მიდის დღევანდელი ხელისუფლება და უფრო მეტიც, მას ამოწურული აქვს ყველანაირი რესურსი და იგი ვერანაირად ვერ გააკეთებს და ვერ შეძლებს სისტემური ცვლილებების განხორციელებას სახელმწიფოში. ის, რომ გზები დაიგო, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ყველაფერი გრანტებით არის გაკეთებული. ასე შევარდნაძესაც შეეძლო გაეკეთებინა და გეტყვით, უფრო მეტი წარმატებითაც. დემოკრატიის ის ნიშანწყალი, რაც შევარდნაძის დროს იყო, მაგდაგვარიც აღარაფერი არსებობს ფაქტიურად დღეს და ვიცით, თუ რა მდგომარეობაა. უდანაშაულო ადამიანებით სავსეა ციხეები, უამრავი პოლიტპატიმარი, ხალხი ეკონომიკურ სიდუხჭირეშია, სოციალური თანასწორუფლებიანობა ფაქტიურად არ არსებობს, დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი არ არსებობს, დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს. ამ ყველაფრის შესახებ არ ლაპარაკობს პრეზიდენტი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ ის მოწყვეტილია რეალობას, მოწყვეტილია ხალხს. ის თავის გუნდთან ერთად ზის მათ მიერვე შექმნილ ტელევიზიებში და მე მგონი, თვითონაც იჯერებენ იმას, რაც თავად შექმნეს ხალხის მოსატყუებლად. ეს ადამიანი რაც მალე მოშორდება ქართულ პოლიტიკას, თავის გუნდთან ერთად მით უკეთესია საქართველოსთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენები კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლებას რისხვის დღე უნდა დავუყენოთ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

*— ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ისმის შეფასებები, რომ ეს დაანონსებული რევოლუციები ოპოზიციის მხრიდან საკმაოდ არასერიოზულია და ვინც ამაზე საუბრობს, არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვთო...*

— ეს ყველაფერიც იმაზე მიანიშნებს, რომ ესენი ბოლშევიკების შთამომავლები არიან. მე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ამ ადამიანების 80%-ის მამები კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ და თან აქტიური პარტიის წევრები, ისხდნენ კომუნისტურ თანამდებობებზე და იყვნენ კორუმპირებულები. ახლა გვარებს აღარ ჩამოვთვლი, ყველამ ყველაფერი კარგად იცის, არ გვინდა ეს პერსონალიზაცია, მაგრამ მათი შვილების იდეოლოგია, ანუ ამ თაობის იდეოლოგია, ვინც დღეს ნაციონალებში არიან, ვერ გაცდა მამების დონეს და იდეოლოგიას. წინა საუკუნეში, როცა რევოლუციებს აწყობდნენ, არ არსებობდა არც ფეისბუქი, არც ინტერნეტი, არც ტელევიზიები და არც სხვა რაიმე საშუალებები, რომლითაც შეგეძლო ხალხისთვის შეგეტყობინებინა, თორემ რომელი რევოლუცია არ ანონსდებოდა? ერთი რევოლუცია მაინც დამისახელეთ მსოფლიოში, რომელიც არ დაანონსებულა. ხდებოდა ჯგუფების შეკრება, ხდებოდა მომზადება, ხდებოდა იდეოლოგიური მომზადება, პროპაგანდა, აგიტაცია და ხდებოდა ამ ყველაფრის ანონსირება. ერთი მაინც დამისახელონ, სადაც ეს ყველაფერი არ მომხდარა. ამ შემთხვევაშიც ოპოზიცია იყენებს ელექტრონულ საშუალებებს რაც კი არსებობს და ამას სწორედაც აკეთებს, აბა, რა უნდა ქნას, საზოგადოებას ხომ უნდა გააგებინოს, რა ხდება, რისთვის ემზადებიან, როგორ ემზადებიან და საზოგადოებამ ან უნდა დაუჯეროს, ან არ უნდა დაუჯეროს, ან უნდა წაჰყვეს, ან არ უნდა წაჰყვეს. აქ ანონსებზე არ არის ლაპარაკი. ეს არის ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც გათვლილია საზოგადოებაზე, თითქოს, აი, ნახეთ, ოპოზიცია რა სუსტია და ასე შემდეგ. მე ერთ რამეს ვიტყვი, დღევანდელი მდგომარეობით თუ შეხედავ სიტუაციას, ხელისუფლება კი არ არის ძლიერი, საზოგადოება ვართ სუსტი და საზოგადოება არ ვართ აქტიური. ჩვენ თუ გავაქტიურდებით, ჩვენ იმ წუთში აღმოვაჩენთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის უსუსტესი ხელისუფლება, თუ ოდესმე საქართველოს ხელისუფლება ჰყოლია ყველაზე უსუსტესი ხელისუფლებაა. ის, რომ ციხეებში ყრიან, ადამიანებს ამაზე მარტივი არაფერი არ არსებობს, ამას არ სჭირდება დიდი ტანჯვა და წვალება-მოკიდე ხელი, შეაგდე ციხეში. ამას ყვარყვარე აკეთებდა ძალან კარგად, მინდა გითხრათ, ვანო მერაბიშვილზე უკეთესად. ისეთი ხალხი ჰყავთ დღეს ხელისუფლებაში მოყვანილი, რომ ინსტიტუტი კი არა, ზოგს ალბათ სკოლაც არა აქვს დამთავრებული. ეს არაპროფესიონალიზმი, არაკვალიფიციურობა, არაკომპეტენტურობა, თავხედობა... გოეთეს აქვს ნათქვამი შესანიშნავი სიტყვები: თავად უცოდინრობა უბედურებაა, მაგრამ ამაზე მეტი უბედურება არის, როდესაც უცოდინრობა მოსული არის მოქმედებაში და მის ხელში არის ძალაუფლება. დღეს ჩვენს ქვეყანაში სწორედ რომ უცოდინარი ხალხია მოსული ხელისუფლებაში, მინიჭებული აქვთ ძალაუფლება და ეს უცოდინრობა მოქმედებს. აი, ეს არის უკვე ტრაგედია და ეს არის დიქტატურა, ტოტალიტარიზმი და რაც გინდათ, ის დაარქვით. აი, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით დღეს ჩვენ, ქართველი ერი. ამის პირადად მე ძალიან მრცხვენია. გუშინ სააკაშვილი ამერიკაში რომ გამოდიოდა და კმაყოფილი სახით ლაპარაკობდა, მე, მაგალითად, მის ადგილას ძალიან შემცხვებოდა. როგორ შეიძლება სახელმწიფოს მეთაური იდგე ამხველა ქვეყნის წინაშე და ამდენ ტყუილებს ლაპარაკობდე. თანაც ამდენ სისულელეს ეუბნები მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ტელევიზიას. რა გითხრათ, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს ამ ხალხს.

*— უახლოეს პერიოდში რა პროცესების განვითარებას ელით და რამდენად არის საზოგადოებაში რევოლუციური მუხტი? როგორ ფიქრობთ, გაზაფხულზე მართლაც დაიძაბება ვითარება?*

— მე კიდევ ვიმეორებ არსებობს რამდენიმე ძალა, რომელიც დღეს რევოლუციაზე ლაპარაკობს. ჩამოთვლა შეიძლება იმდენად ცოტანი ვართ. ეს არის ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, ეს არის ქართული პარტია, ეს არის კახა კუკავას პარტია და ჩვენი პარტია აკეთებს ამ განცხადებას, თუმცა, არ გამოვრიცხავ ამას შეუერთდნენ სხვა პარტიებიც, თუნდაც ის რვა პარტია, რომლებიც საარჩევნო გარემოზე მუშაობს, ვინაიდან ნათელია, რომ არანაირ გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლება არ მიდის. ახლა კიდევ ახალ პროექტს შემოგვთავაზებენ, დროის გაწელვის ტაქტიკაზე გადავიდა ყველაფერი. საზოგადოება ამისთვის მზად არის, ამისთვის ემზადებიან ეს პოლიტიკური ძალებიც, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, კარგია, თუ მოხდება ამ ძალების კონსოლიდაცია და იქნება რეალური ბრძოლა ხელისუფლების და საერთოდ ამ სისტემის დემონტაჟისთვის, იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ თუ ეს ბრძოლა გადაიზარდა მხოლოდ მიშა გადადექიში, მაშინ აზრს კარგავს საერთოდ ეს ბრძოლა, მიშა გადადექი კი არა, მთავარია სისტემის შეცვლა და ამ სისტემის შეცვლას ბუნებრივია უნდა მოჰყვეს ხელისუფლებაში არსებული ძალების პოლიტიკური არენიდან ჩამოშორება. სიტუაცია მწიფდება და მე ვფიქრობ, რომ ამ გაზაფხულს ეს ყველაფერი არ უნდა გასცდეს. აი, დაანონსება რისიც არ შეიძლება, ეს არის ვთქვათ კონკრეტული დღე. მე ვამბობ ამ ეტაპზე, თორემ როდესაც სიტუაცია იმ დონეზე იქნება მისული, რომ გარდაუვალია თუნდაც იმ დღის დაანონსება, მაშინ რასაკვირველია, ის დღეც უნდა დააანონსო. როგორც აღმოსავლეთში საუბრობენ, რისხვის დღე საქართველოშიც აუცილებლად უნდა გაიმართოს და შემდეგ გამოჩნდება როგორ არის ხალხი ამისთვის მზად, საზოგადოება როგორ არის მომზადებული ამ ცვლილებებისთვის. თუ საზოგადოება მზად იქნება ამ ცვლილებებისთვის უნდა დავიწყოთ ეს პროცესი, რამაც საქართველო უნდა გაათავისუფლოს ნეობოლშევიკური რეჟიმისაგან.

# ხელისუფლება ოპოზიციისგან გარანტიებს ითხოვს

შორენა კოწოწაშვილი



**ეკა ბესელია ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესზე და იმ პროექტებზე საუბრობს, რომლის განხორცილებისთვის სააკაშვილის გუნდი, იგივე გიგა ბოკერია ემზადება და რომელიც რეალურად ამ ხელისუფლების წევრთა ქონების და ბიზნესინტერესების შენარჩუნებას გულისხმობს.**

ამ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელ **ეკა ბესელიასთან**.

*— ქალბატონო ეკა, რამდენად არის ქვეყანაში რევოლუციური ფონი, რაზეც ქართული პარტია და სახალხო კრება მიანიშნებენ?*

— ბუნებრივია, არაბული ქვეყნების რევოლუციური ტალღა, რომელიც ევროპისკენ მოდის, იმ ტიპის ასოციაციებს იწვევა, რომ შესაძლებელია საქართველოში კრიტიკული განწყობა, რომელიც საკმაოდ მაღალია, რევოლუციური ტალღის ნაწილი გახდეს და ბუნებრივი მოცემულობა, რომელიც დღეს არის, ამის წინაპირობა იყოს. ამიტომაც დღეს, როცა რევოლუციაზე ხმამაღლა საუბრობენ, როცა ამ სიტყვების ოთახში ჩურჩულით თქმისაც რომ ეშინოდათ, სწორედ ამ რევოლუციური ტალღის გამოძახილია და იმ მოლოდინის შედეგია, რომელიც შეიქმნა ამ რევოლუციების შემდეგ. ფაქტია, რომ მსოფლიო დღის წესრიგი და დამოკიდებულება წამყვანი მთავარი პოლიტიკური მოთამაშეების, შეიცვალა. დღეს აბსოლუტურად სხვა განწყობაა, ვიდრე 2008-2009 წლებში იყო, როდესაც დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც დღეს ღიად მხარს უჭერენ რევოლუციურ პროცესებს, ვერ ამჩნევდნენ და არ იმჩნევდნენ ქართველი ხალხის საპროტესტო განწყობას, რომელიც გამოდიოდა ქუჩაში მთელი 2 წლის განმავლობაში და სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლას ითხოვდა. ანუ ითხოვდნენ დემოკრატიულ პროცესებს. მაშინ მსოფლიო თანამეგობრობა მზად არ აღმოჩნდა, რომ ხალხის ამ ბუნებრივი მოთხოვნისთვის — ცვლილებები მომხდარიყო ქვეყანაში, მხარი დაეჭირა. სამწუხაროდ, ეს ფაქტორი იყო გადამწყვეტი, რომ ის შედეგი არ დადგა, რისთვისაც ხალხი იბრძოდა. ამ პროცესს ცოტა სხვაგვარადაც შევხედოთ. მე ასეთი განცდა მაქვს, რომ ხელოვნურად რევოლუციური პროცესის განხორციელება საქართველოში ვერ მოხდება. ამას ის სისტემა არ დაუშვებს, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია ქვეყანაში და რომელიც ერთის მხრივ, არის პროდასავლური, მეორეს მხრივ — პრორუსული. ანუ ორი სხვადასხვა ინტერესია. ხელოვნურად რევოლუციური პროექტის გათამაშება შეიძლება შედეგის მომტანი არც იყოს. ეს ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს.

*— რევოლუციის ბუნებრივად განხორციელების შესაძლებლობა არსებობს?*

— არსებობს. ხალხს რეალურად უნდა ამ ხელისუფლების შეცვლა. ხალხს უნდა დემოკრატიული ცვლილებები. ხალხი იმ ზღვარზეა, როდესაც ველარ უძლებს სოციალურ გაჭირვებას და უსამართლობის მასშტაბებს. ამიტომ, თუ პროცესები ბუნებრივად განვითარდება და პოლიტიკური ძალები არ აღმოჩნდებიან თავისი სულსწრაფობით დამამუხრუჭებელი ამ პროცესის და ამ მორიგი და შესაძლოა გადამწყვეტი ეტაპის უნებურად ხელშემშლელი, ეს იქნება მართლაც იმ მთავარი საფრთხის თავიდან აცილება. ამას რატომ ვამბობ: სამწუხაროდ, პოლიტიკური ინტერესები ხშირად არ ემთხვევა ხალხის განწყობას. არადა, მთავარი სწორედ ხალხის ინტერესები უნდა იყოს. შეიძლება რომელიღაც პოლიტიკური ძალა ფიქრობს, რომ მეორე ძალას დაასწროს გამოაცხადოს მოუმზადებლად რაიმე თარიღი, ისე, რომ თვითონ არ იყოს მზად რევოლუციური პროცესების დასრულებისთვის. მე ასეთი ტიპის ნაჩქარევი ნაბიჯების შემეშინდებოდა, იმ გაგებით, რომ პროცესი უშედეგოდ კიდევ ერთხელ არ დამთავრდეს. ამიტომ, ვფიქრობ და მხარს ვუჭერ იმ ბუნებრივ პროცესებს, როდესაც ხალხი მართლაც რეალურად ითხოვს ქვეყანაში შეიცვალოს სააკაშვილის რეჟიმი. ეს უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე დროში, მაგრამ ეს უნდა იყოს აბსოლუტურად ბუნებრივი პროცესი, რომელსაც ვერ გააკონტროლებს გარეშე ძალა. მაგრამ გააკონტროლებს ქართველი ხალხი თავისი თვითორგანიზებულობით და იმ სამოქალაქო თუ პოლიტიკური ჯგუფების ჩართვით, რომელიც იქნება პროცესის ხელშემწყობი და არა საკუთარი ინტერესების გამმხმოვანებელი.

*— რამდენად აქვთ იმ ძალებს, რომლებიც რევოლუციაზე საუბრობენ, რევოლუციური პროცესის კონტროლის რესურსი?*

— არც ერთი პოლიტიკური ლიდერი დღეს თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას, რომ ან რევოლუციური პროცესი შექმნან, ან შექმნილი პროცესი დაასრულონ. ასეთი პასუხისმგებლობის ამღები პოლიტიკური ფიგურა ჩვენ ჯერ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი, ვინ არის ასეთი, ვინც ამ განცხადებას აკეთებს. ყოველთვის აპელირება ხალხზე ხდება. თუ მართლაც დღეს აქვს ხალხის უნიკალური შესაძლებლობა, რომ დაიწყოს და დაასრულოს ეს პროცესი, ასეთ შემთხვევაში ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც რევოლუციურ პროცესებს მხარს უჭერენ, უნდა აღმოჩნდნენ უბრალოდ პროცესის ხელშემწყობი.

*— რეალურად ოპოზიციის ეს ნაწილი სახალხო აჯანყებას ელოდება?*

— მე ასეთი განცდა მაქვს, რომ დღეს ორი სხვადასხვა ფრთა ცდილობს ერთმანეთს დაასწროს თარიღის გამოცხადება. თუმცა, არ ვიცი, ამისთვის რამდენად მზად არის რომელიმე მათგანი. ერთადერთი, ვინც მზად არის ამ ცვლილებებისთვის, ეს არის ხალხი, რომელსაც სჭირდება მაორგანიზებელი ძალა. ეს ძალა ვერ იქნება ვერც ერთი კონკრეტული პოლიტიკური პარტია. ეს ძალა იქნება სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთობა, პოლიტიკური ძალების დახმარებით. მაგრამ საზოგადოებრივი, სახალხო ტიპის ერთობა, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აიღოს ინიციატივა და მიიყვანოს პროცესი ბოლომდე. თუ ისევ ის მოხდება, რომ პოლიტიკური ლიდერები აღმოჩნდებიან წინა ფლანგზე, როგორც ეს არაერთხელ ვნახეთ, პროცესი შეიძლება დამუხრუჭდეს სწორედ იმიტომ, რომ არავისგან არ მომისმენია კონკრეტულად დღეს ვის რა გეგმა აქვს; როგორ უნდა განავითაროს შემდეგ პროცესები. მე იმედიანად ვარ განწყობილი. უიმედო განწყობა არ მაქვს. საზოგადოება ნელ-ნელა გამოდის ამ ნიჰილიზმიდან. მე მთლიანად ვეყრდნობი ხალხის როლს, როგორც უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც აღემატება როგორც ვთქვი, იმ ინტერესებს, რომელიც ქვეყანაშია. ანუ პრორუსულ და პროდასავლურ ინტერესებს. ეს ორი სისტემა მხოლოდ ბენებრივ პროცესს ვერ გააკონტროლებს ანუ ხალხის მიერ წამოსულ რევოლუციურ პროცესს.

*— ბოლო დროს არაერთი განცხადება გაკეთდა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და რუსეთის სპეცსამსახურები შეთანხმდნენ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლაზე და მას პრემიერობაზე უარი უთხრეს. ამის სისრულეში მოსაყვანად ნაბიჯები იკვეთება?*

— ერთი რამ უდავოა: სააკაშვილს უკვე ძალიან ღია ტექსტით ეუბნებიან, რომ მას პუტინიზაციის გზის პერსპექტივა არ აქვს; რომ ამ შანსს მას არ მისცემენ. მას არ ექნება არანაირი მხარდაჭერა, რომ პრეზიდენტობიდან პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადაკდეს და ტყუილად ნუ გვაჩვევენ ამ აზრს პროპაგანდისტული ნაციონალური არხები და დაქირავებული ექსპერტები, რომ სააკაშვილი პრემიერად მოგვევლინება. მას ამის არანაირი ღია მხარდაჭერა არ ექნება. ღიად ლაპარაკობს ასმას დასავლეთი და ევროპა. აქვე შეგვიძლია შევეხოთ ყველაზე ბოლო მოვლენას — სააკაშვილის შეხვედრას დონალდ ტრამპთან. ეს შეხვედრა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სააკაშვილის მცდელობა მონახოს ახალი მოკავშირე, რომ დაეხმაროს მას განახორციელოს პრემიერის პოსტის მორგება. ვფიქრობ, ყურადღება მისაქცევია რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე. ერთის მხრივ, მართლაც ძალიან უთავმოყვარეო უნდა იყო ადამიანი, რომ მოგეწონოს ქვეყნის პირველი პირი ჩადის სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში — აშშ, არ აქვს არანაირი ოფიცილური შეხვედრა პოლიტიკურ წრეებში და ხვდება გავლენიან ბიზნესმენ ტრამპს, ლობირებს ერთ-ერთი ბიზნესმენის ინტერესებს, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიცია. როგორი გავლენიანიც არ უნდა იყოს ის, ტრამპი მაინც არის კერძო სექტორის წარმომადგენელი. ეს არის კერძო სექტორში დასარეგულირებელი საკითხი. როდესაც პრეზიდენტი პირდაპირ ლობირებს ერთ-ერთ კერძო ბიზნესს, პირდაპირ ერევა ამ გარიგებაში და გვევლინება, როგორც შუამავალი, მე ვფიქრობ, ეს არის უმძიმესი რეალობა. ეს ააშკარავებს იმას, რომ საქართველოში ბიზნესი ნაციონალურ მოძრაობასთან არის შეზრდილი. მეორე აქცენტი, რომელსაც ყურადღებას აუცილებლად მივაქცევდი. შემთხვევითი არ იყო, რომ დონალდ ტრამპმა თქვა, რომ ის არის აშშ-ის საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც 2012 წელს ინიშნება და რომ რესპუბლიკელ კანდიდატებს შორის დღეს მას აქვს ყველაზე მარალი რეიტინგი. ტრამპმა არ დამალა ჟურნალისტის კითხვაზე, რომ მას აქვს ეს ინტერესი. გააკრიტიკა ობამას ადმინისტრაცია, რაც ვფიქრობ, ასევე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა სააკაშვილს, რომელმაც სცადა გაენეიტრალებინა ეს ფონი. თქვა, რომ მას კარგი ურთიერთობა აქვს ამერიკის ადმინისტრაციასთან და რომ ისინი არაფერს არ აიძულებენ. ვფიქრობ, აქ არის ერთი საინტერესო სცენარი: სააკაშვილმა იცის რა, რომ ობამას ადმინისტრაცია მას მხარს არ დაუჭერს პრემიერის პოსტზე გადასვლაში, ის ეძებს ახალ დასაყრდენს. თუკი ამერიკაში 2012 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ და თუ ეს იქნება დონალდ ტრამპი, სააკაშვილი ცდილობს, რომ წინასწარ გარკვეული გზები მონახოს. ან ინვესტიცია ჩადოს ამ პროექტში და გარკვეული დასაყრდენი მონახოს. რა თქმა უნდა, ეს არის ვაბანკზე წასვლა. ეს არის სააკაშვილის მხრიდან მორიგი ავანტურისტული ნაბიჯი, მაგრამ დღეს ის ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერზე წავა. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ მას მხარდჭერა გარედან არ ექნება და რაც დღეს აქვს, ეს არის ფასადური.

*— ბოკერია ალასანიას შეხვედრებს როგორ აფასებთ? ალასანია ფიქრობს, რომ ხელისუფლებასთან რიგ საკითხებზე მოლაპარაკება შეიძლება. რუსეთში სააკაშვილის გუნდის წევრების გახშირებული ვიზიტები იმაზე მიანიშნებს, რომ ბოკერია რუსეთის პოლიტელიტაში დასაყრდენს ეძებს?*

— ეს ორივე საკითხი საინტერესოა. ერთის მხრივ, ხელისუფლებისთვის დღეს ამოცანა ასე დგას. მათ იციან, რომ სააკაშვილის ლიმიტი არის მაქსიმუმ 2012 წლამდე. თუმცა, მათ გაზაფხულის ძალიან ეშინიათ. ეშინიათ იმ მღელვარების, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამ გაუსაძლის სოციალურ ფონს. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, რომ დასაყრდენი იპოვონ ყველგან, სადაც კი შეიძლება, რომ გაზაფხულის მოსალოდნელი გამოსვლები და მღელვარება, როგორმე გაანეიტრალონ. ეს ერთი. ამავე დროს, ნაციონალური მოძრაობა ფიქრობს ახალი პროექტი შექმნას. ამაში ბოკერია ძალიან აქტიურად არის ჩართული. ბოკერია იქნება ამ პროექტის — ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის გარეშე — მთავარი ღერძი. უნდა შექმნან პროექტი, რომელიც ამ კრიმინალურ ძალას შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებაში დარჩეს, ოღონდ „მოდერნიზებული" ანუ სხვა ფორმით. არ ვიცი, რეინკარნაცია მოხდება თუ არა, ნაციონალური მოძრაობის, მაგრამ ექნებათ მცდელობა, რომ შენარჩუნდეს ის გავლენები და ის უზარმაზარი ქონება, ბიზნეს-ინტერესები, რომელიც დღეს აქვს ნაცმოძრაობას. ისინი ეცდებიან: პირველი — გადაარჩინონ ეს ინტერესები ახალი პოლიტიკური ძალის შექმნით, და ამისთვის ეძებენ შესაბამის ლიდერს; და მეორე — დასაყრდენი იპოვონ ყველა იმ ძალაში, რომელიც პოტენციურად განიხილება, რომ მომავალ ხელისუფლებაში მოვა. ისინი ყველას დაელაპარაკებიან ოპოზიციაში, ვინც ოპოზიციიდან დაელაპარაკება, რომელიც რაიმე ტიპის ფაქტორს წარმოადგენს დღეს ქართულ პოლიტიკაში.

*— ანუ გარანტიების მიღებაზეც საუბრობს უკვე ხელისუფლება?*

— ხელისუფლების მხრიდან ეს ინტერესი შეიძლება იყოს. ამის მცდელობები ხელისუფლებას ყოველთვის ჰქონდა. რაც შეეხება რუსეთს, დიდი ხანია საქართველოს ხელისუფლება რუსულ ინტერესებს ატარებს. მე აბსოლუტურად ვეთანხმები გოგა ხაინდრავას შეფასებებს, ვანო მერაბიშვილი დიდი ხანია უკვე პრორუსულ ინტერესებს ემსახურება და ლობირებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ის ძალიან დიდი ენერგიას და რესურსს ხარჯავს იმაში, რომ გახდეს მისაბაძი წარმატებული რეფორმის ავტორი. ანუ რუსეთში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კავშირების მოძებნა ახალი არ არის.

# ქართველი დეპუტატები რუსმა გენერალმა აღაშფოთა

**ქართველი დეპუტატები რუსი გენერლის მიერ აფხაზეთში გაფორმებული ხელშეკრულების გამო აღშფოთებას გამოთქვამენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების წარმომადგენლის აფხაზეთში ჩასვლა გუშინ პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ გააპროტესტა.**

ნანა მიშელაშვილი



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების წარმომადგენელი, გენერალი ბოგდანოვსკი აფხაზეთში ჩავიდა და სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულება გააფორმა გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში სამხედრო პოლიგონის მშენებლობასთან დაკავშირებით. პაატა დავითაიას განცხადებით, ხელშეკრულება ითვალისწინებს მიწების პოლიგონისთვის გადაცემას, არადა, გულრიფშში არასდროს არ იყო სამხედრო პოლიგონი.

— აქედან გამომდინარე, მოხდება ქართველთა მიწების მითვისება, რაც ყოვლად მიუღებელია. ამის შესახებ რეაგირება უნდა მოახდინოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერს პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს დავალება მისცა. დავით ბაქრაძემ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს მიმართა, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციები გაიაროს და განცხადება მოამზადოს.

გუშინ საპარლამენტო უმცირესობა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც აქტიურობდა. კერძოდ, უმცირესობას საკუთარი პოზიცია აქვს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით.

საპარლამენტო უმცირესობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში საკუთარი მოსაზრებების გათვალისწინებას ითხოვს. გუშინ, უმცირესობის წევრები უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ბათუ ქუთელიას შეხვდნენ. ამ შეხვედრაზე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე იმსჯელეს.

შეხვედრაზე დეპუტატები დაინტერესდნენ, თუ რამდენად შესაძლებელია საუბარი იყოს კონცეფციაში იმ მოსალოდნელი კრიზისების თავიდან აცილებაზე, რაც ბუნებრივი კატასტროფებს შეიძლება მოჰყვეს.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში კრიზისების მართვის სტრატეგიაზე მუშაობენ. ამის თაობაზე უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელიამ განაცხადა. ასეთი სტრატეგიის აუცილებლობა თვალსაჩინო გახდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ხაზი გაუსვა საქართველოში მშენებლობების პრობლემას და მაგალითად მოიყვანა ექსპერტების შეფასებები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში მიმდინარე ახალი მშენებლობები სეისმურად მდგრადი არ არის.

ამ მოსაზრებების მოსმენის შემდეგ ბათუ ქუთელიამ განაცხადა, რომ მთავრობა ბრიტანელი ექსპერტების დახმარებით კრიზისების მართვის სტრატეგიაზე მუშაობს, რომელშიც ყველა ზემოაღნიშნული საკითხი იქნება გათვალისწინებული. მისი თქმით, ბრიტანელი ექსპერტები ამ საკითხში საკმაოდ კომპეტენტურები არიან და მსგავსი სტრატეგიის შემუშავებაში ისინი თავის დროზე ბალტიის ქვეყნებსაც დაეხმარნენ.

კრიზისების სამართავად კი სტრატეგიის გარდა, ტექნიკური აღჭურვილობაც არის საჭირო, რისი სამზადისიც უკვე მიმდინარეობს. ბათუ ქუთელიას ინფორმაციით, ამ მიმართულებაში ჩართულნი იქნებიან შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები.

უმცირესობის ლიდერმა აფხაზი ეთნოსის გაქრობის და სრული ასიმილაციის რისკზეც ისაუბრა. გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ შეუძლია უშიშროების საბჭოს ამ საკითხის ასახვის ზუსტი ფორმულირება შესთავაზოს, მაგრამ მიაჩნია, რომ კონკრეტულად ეს რისკი კონცეფციაში ასახული უნდა იყოს.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ აღნიშნა, მართალია დოკუმენტის პროექტში აფხაზეთთან მიმართებაში რისკებზე საუბარია, მათ შორის დემოგრაფიული თვალსაზრისითაც, თუმცა, კონკრეტულად აფხაზი ეთნოსის გაქრობის და სრული ასიმილაციის რისკებში შეტანა, დოკუმენტში სრულიად შესაძლებელია.

რაც შეეხება საზღვრისპირა რეგიონებს, საფრთხეების შეფასების დოკუმენტში საზღვრისპირა რეგიონების საკითხი აისახება. ამ თემაზე ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ ისაუბრა. მისი თქმით, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ კონცეფციაში საზღვრისპირა რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემები ცალკე ქვეთავად გამოიყოფოდა.

— უსაფრთხოების კონცეფციაში ჩემი შენიშვნა იყო საზღვრებთან დაკავშირებით სისტემა ჩამოყალიბდეს, მოსახლეობის ჩასახლებიდან დაწყებული მათი განსახლებით დამთავრებული. ის ანექსია, რომელიც რუსული მხარის მიერ მიმდინარეობს, გათვალისწინებული უნდა იყოს, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

ბათუ ქუთელიამ განმარტა, რომ პრობლემა ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა მისი უსაფრთხოების კონცეფციაში გათვალისწინების შემთხვევაში აუცილებელი გახდება სხვა პრობლემების ამოწევაც, რაც დოკუმენტს „დაამძიმებს“.

— საზღვრისპირა რეგიონების საკითხი, მათ შორის დემოგრაფიული პრობლემები და ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები საფრთხეების შეფასების დოკუმენტში აისახება, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ სამინისტროების სამოქმედო სტრატეგიები მომზადდება, — აღნიშნა ქუთელიამ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში რუსეთის მიზნებთან დაკავშირებით დეტალურად არის საუბარი. დოკუმენტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში ნათქვამია, რომ 2008 წელს რუსეთის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების შეცვლა. ამ ფორმულირებას „ქრისტიან-დემოკრატები“ არ ეთანხმებიან.

„ქრისტიან-დემოკრატ“ ნიკა ლალიაშვილის მოსაზრებით, დოკუმენტში ნათლად უნდა ეწეროს, რომ რუსეთის მიზანი ქვეყნის ოკუპაცია და ევროპული ორბიტიდან ისევ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნების მცდელობა იყო და არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა.

ოპოზიციონერი დეპუტატები კონცეფციაში სამოქალაქო თავდაცვის შესახებ ჩანაწერის გაძლიერებასაც მოითხოვენ. დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც ქვეყანა ტოტალურ თავდაცვაზე გადადის, სამოქალაქო თავდაცვაზე დოკუმენტში ძლიერი ჩანაწერი უნდა არსებობდეს.

საპარლამენტო უმცირესობის გარდა, კონცეფცია უკვე განიხილეს უმრავლესობის წევრებმა. დეპუტატებთან მსჯელობის შემდეგ კონცეფციაზე უშიშროების საბჭო იმსჯელებს და გადამუშავებული ვარიანტი ისევ პარლამენტში შევა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტზე მუშაობა გაზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება. ბათუ ქუთელიას განმარტებით, დოკუმენტის ტექსტური მხარის დახვეწა და როგორც პოლიტიკური, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ შენიშვნებზე მუშაობა მიმდინარეობს.

— დოკუმენტის საბოლოო სახით მიღებისთვის დაახლოებით ორი თვე კიდევ დაგვჭირდება. ვფიქრობ, ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი სრულყოფილ სახეს გაზაფხულის ბოლოსთვის მიიღებს, — აღნიშნა ქუთელიამ.

# დეპუტატები მინისტრებს „დაკითხავენ“

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტში დღეს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ელოდებიან. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განაცხადა.**

ნიკა გილაურის პარლამენტში მისვლის მიზეზი იმ დეტალების დასუსტებაა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში მინისტრების გამოსვლას უკავშირდება. 22 მარტიდან მინისტრები პარლამენტში მივლენ და დეპუტატების შეკითხვებს პასუხს გასცემენ.



დავით ბაქრაძემ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს მოუწოდა, ნიკა გილაურთან დღეს გამართულ შეხვედრას დაესწრონ. მინისტრების კვირეული პარლამენტში მომავალ კვირას გაიმართება. როგორც მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, საკანონმდებლო ორგანოში ყველა მინისტრი მივა.

დეპუტატებს შეკითხვები ნიკა გილაურთანაც ექნებათ. პრემიერ ნიკა გილაურსა და ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანს დევნილთა პრობლემების შესახებაც მოუწევთ პასუხის გაცემა.

რამდენიმე დეპუტატი მინისტრებს მწვავე შეკითხვებს უმზადებს. რას შეეხება დეპუტატების კრიტიკული შეკითხვები, ამაზე ისინი წინასწარ არ საუბრობენ. საპარლამენტო ოპოზიციის წევრები არც იმ მინისტრების ვინაობას ასახელებენ, რომლებიც მწვავე შეკითხვების ადრესატები არიან.

განსაკუთრებით ბევრი შეკითხვა დეპუტატებს ლტოლვილთა მინისტრთან, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის მინისტრებთან აქვთ. შეკითხვები სხვა მინისტრების მიმართაც იქნება.

— უნდა არსებობდეს რეგლამენტი არა იმისა, რომელ მინისტრს რა შეკითხვას დაუსვამ ან ამ კითხვაზე რა პასუხს გაგცემს, კითხვა-პასუხის დრო წასულია, ამ ქვეყანაში ალტერნატიული იდეების, წინადადებისა და შეთავაზების დროა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეგლამენტში განსაზღვრული უნდა იყოს შესაფერისი დრო იმისათვის, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ალტერნატიული ხედვის შეთავაზების შესაძლებლობა გვქონდეს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ვეფხვაძემ.

რაც შეეხება ძალოვან მინისტრებს, ლევან ვეფხვაძე იმედს გამოთქვამს, რომ ისინი პარლამენტში მივლენ და დეპუტატების შეკითხვებს პასუხს გასცემენ.

— იმედი მაქვს, რომ ეს ის ბედნიერი შემთხვევა იქნება, როდესაც ძალოვანი მინისტრები სხდომას დაესწრებიან. ჩვენ ძალოვანი მინისტრების დასწრების ცუდი გამოცდილება გვაქვს. არც პრეზიდენტის გამოსვლას, არც ბიუჯეტის დამტკიცებას და არც მთავრობისთვის ნდობის საკითხის დაყენებას ძალოვანი მინისტრები არ ესწრებიან. იმედი მაქვს, რომ ეს გამონაკლისი ახლა იქნება. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ძალოვანი მინისტრები მოვიდნენ, რადგან მათ მიმართაც იქნება კითხვები, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

რაც შეეხება უმრავლესობას, მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მელიქიშვილი განმარტავს, რომ განსხვავებული ფორმატით მოხდება პარლამენტში მთავრობის მისვლა და დებატებიც განსხვავებული ფორმატით წარიმართება.

— ყველა აქტუალურ საკითხზე იქნება საუბარი როგორც მთავრობის მხრიდან, ასევე პარლამენტის მხრიდან, რომელიც აწუხებს საქართველოს მოსახლეობას. გარკვეული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ იქნება ინფორმაცია და იმ დასახული გზების შესახებ, რომელიც ამ პრობლემების მოსაგვარებლად არის განსაზღვრული. აღნიშნული ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანია, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა.

მმართველი პარტიის წევრები ირწმუნებიან, რომ მთავრობა პარლამენტში მთლიანი შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი და ნებისმიერ დეპუტატს შეუძია შეკითხვა დაუსვას აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

პარლამენტი მთავრობის დასახვედრად ემზადება. რას ეტყვიან დეპუტატები მინისტრებს ახალს, რომელ მინისტრს „გაჭედავენ“ ან რომელ მინისტრს მოუწევს კრიტიკის მოსმენა, ეს ყველაფერი მომავალ კვირას გაირკვევა.

# რუსეთი ვმო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე შევა?

გერა მამულაშვილი

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები ორი თვის შემდეგ განახლდება. თბილისში აცხადებენ, რომ ქართული მხარის პოზიცია უცვლელია. ხოლო მოსკოვში თვლიან, რომ ისინი მსო-ს საქართველოს თანხმობის გარეშეც შეუერთდებიან.

შვეიცარიის შუამავლობით რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები 9-10 მარტს ბერნში გაიმართა. ქართული მხარე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საბაჟო გამშვებ-პუნქტებზე მებაჟეების დაშვებას და რიგი სასაქონლო ტვირთების, მათ შორის ღვინის ემბარგოს მოხსნას მოითხოვს. მოლაპარაკების დროს რუსულმა მხარემ მოითხოვა, რომ საქართველოს მოლაპარაკების პოლიტიზება არ მოეხდინა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, „საქართველოს მიერ რუსეთის მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით არჩეული გზა უპერსპექტივოა“.

როგორ მოსკოვის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი ამტკიცებს, „რუსეთი მსო-ში გაერთიანებასთან დაკავშირებით ყველა მოთხოვნას კეთილსინდისიერად ასრულებს“.

— მსო-სთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან უბრალო კრიტერიუმით ვხელმძღვანელობთ: ამ საერთაშორისო ორგანიზაციას საკუთარი ნორმები, სტანდარტები და კრიტერიუმები აქვს, რომელთა საფუძველზე ქვეყნები ორგანიზაციაში წევრიანდებიან. ჩვენ ამ მოთხოვნებს კეთილსინდისიერად ვასრულებთ. საქართველო ამ კონტექსტში ნახსენებია, როგორც ჩანს, რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მრავალმხრივი ჯგუფების ფარგლებში მოლაპარაკებების დასრულების საკითხში, სადაც პრობლემა ნარჩუნდება და სწორედ მან უნდა მისცეს ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებას თანხმობა, — განაცხადა ლავროვმა.

მისივე თქმით, „რუსული მხარე კონტაქტებზე თანახმაა და უკვე მიღწეულია შეთანხმება მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ, რომელზეც მხოლოდ მსო-სთან დაკავშირებული საკითხები განიხილება“.

— თუ ჩვენი ქართველი მეზობლები, როგორც საჯაროდ იმუქრებოდნენ, ისეთ თემებს წამოწევენ, როგორიც რუსეთის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან საზღვარზე საბაჟო და სასაზღვრო საკონტროლო პუნქტების აღდგენაა, ამ საკითხს მსო-სთან არანაირი კავშირი არ აქვს, ამდენად მსგავსი გზა უპერსპექტივოა. თუ ჩვენი ქართველი კოლეგები ასეთ პოლიტიზებულ პოზიციას დაიჟინებენ, მაშინ ალბათ, მსო-ში გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტა სხვაგვარად, მათი მონაწილეობის გარეშე მოგვიწევს, ასეთი შესაძლებლობა კი არსებობს, — აცხადებს ლავროვი.

როგორ ბერნის მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგი კაპანაძემ განაცხადა, — ქართული მხარის პოზიცია უცვლელი დარჩა.

კაპანაძის მტკიცებით, ქართულმა მხარემ ბერნში მოლაპარაკებისას კომპრომისული ვარიანტი წარმოადგინა. თბილისი დაეთანხმა საბაჟო პუნქტებზე მონიტორინგის განხორციელებას არა საქართველოს წარმომადგენლების მიერ, არამედ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით.

— მაგრამ რუსულ მხარეს არც ეს წინადადებები აწყობს, რომელსაც დათმობა არ სურს, — აცხადებს საქართველოს საგარეო მინისტრის მოადგილე.

გრიგოლ ვაშაძის მეორე მოადგილემ ნინო კალანდაძემაც დაადასტურა, რომ საქართველოს მხარდაჭერის გარეშე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თეორიული შესაძლებლობა არსებობს. მისი თქმით, ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის გვერდის ავლით მოხდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, მსგავს პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია.

— მე ძალიან გამიკვირდება, რომ ასეთი პრეცედენტი დაუშვას ვმო-მ. ეს იქნება იშვიათი გამონაკლისი და გასაკვირი იქნებვა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ, — განაცხადა კალანდაძემ.

ბერნის შეხვედრის ერთადერთი შედეგი კი ის არის, რომ მხარეებმა მხოლოდ ერთ საკითხზე შეძლეს შეთანხმება — მოლაპარაკებები ორი თვის შემდეგ განახლდება.

— დელეგაციები შეთანხმდენ გააგრძელონ კონსულტაციები და უნდა ველოდოთ, რომ მორიგი შეხვედრა ორ თვეში შედგება, — ამბობს სერგი კაპანაძე.

# ხეთაგური ახალი ჰესის აშენებას გვპირდება

**ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა გუშინ განცხადება გააკეთა კახეთის ერთ-ერთ სოფელში ახალი ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით.**

ნათია ხურცილავა

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, ხეთაგურის ინფორმაციით, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოები შემოდგომაზე დაიწყება. პროექტის განხორციელებაზე მინისტრის ინფორმაციით 8 მილიონი ლარი დაიხარჯება.

— ახალი ჰესი მდინარე ჩელთზე აშენდება, რაზედაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, — აღნიშნა ალექსანდრე ხეთაგურმა.

გუშინ ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში იმყოფებოდა. მინისტრთან ერთად შილდის მცხოვრებლებს კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილიც შეხვდა და ადგილობრივების პრობლემები მოისმინა.



კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილთან და ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურთან გამართულ შეხვედრაზე კახეთის მოსახლეობამ მთავარ პრობლემებად უმუშევრობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არქონა და საწვავის სიძვირე დაასახელა.

კახელი გლეხები ნაკვეთების დამუშავებას ვერ ახერხებენ. ისინი ხელისუფლებისგან ითხოვენ დახმარებას. გაზაფხულზე სავარგულების დამუშავება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მათთვის. გაძვირებული საწვავის ფონზე გლეხებისთვის სამეურნეო ტექნიკაც ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. გლეხები ურთულესი პრობლემის წინაშე არიან. არ არსებობს ტრაქტორი, რომლითაც ისინი შეძლებენ მიწების დამუშავებას.

— ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა მიწების დამუშავებაა. კახელ გლეხს მიწის დამუშავების არასდროს არ ეშინოდა, მაგრამ არ არსებობს არც ტრაქტორი და არც სხვა საშუალება, რითაც ჩვენ შევძლებთ მიწის დამუშავებას. ასევე ძალიან არის გაძვირებული საწვავი. თუ ტრაქტორს ვიშოვით, საწვავი ისეა გაძვირებული, რომ მისი ყიდვა გაგვიჭირდება, მთლიანად რომ გვეყოს მიწების დასამუშავებლად. თუ ამ გაზაფხულზე არ დავიწყეთ ამ პრობლემის მოგვარება, მერე ისე დავრჩებით. ადრე გაზაფხულზე იწყება გაწმენდითი სამუშაოები, მერე მიწას დამუშავება უნდა. ამაზე ცოტა ადრე უნდა ეფიქრათ. შეიძლება დრო გავიდეს ამასობაში და მიწაც დაუმუშავებელი დაგვრჩეს. როგორც ვიცით, სოფლის მეურნეობას ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ ჯერ ჩვენამდე არაფერი არ მოსულა. ტრაქტორების პრობლემა ისევ გადაუჭრელია, ისევ პრობლემაა საწვავი. ამბობენ, რომ 20 ლიტრ საწვავს დაგვირიგებენ, მაგრამ ეს არ ვიცი, რამდენად ზუსტი ინფორმაციაა. ასევე დიდი პრობლემაა დასაქმება. იმდენი უმუშევარია სოფელში, რომ არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს ამ ხალხმა. ყველას ოჯახები ჰყავთ და ყველას სჭირდება გვერდით დგომა. გლეხი კაცისთვის მიწაზე მუშაობა არ არის რთული, მაგრამ რთული ის არის, რომ ამის პირობები არ არის. თუ ტრაქტორი არ იქნა, თუ საწვავი ასეთი ძვირი იქნა, მაშინ მოსავლის გარეშე დავრჩებით. სოფელს თუ მოსავალი არ ექნა, ქალაქიც, ბუნებრივია, მოსავლის გარეშე დარჩება, — განაცხადა შილდის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

კახეთის გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო უახლოეს მომავალში ქვეყანაში ახალ ტრაქტორებს შემოიტანს და ამ მხრივ მოსახლეობას პრობლემები მოუგვარდება.

# საქართველო იაპონიას დაეხმარება

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში გასული კვირის მოვლენები შეაჯამეს და მომავალი კვირის გეგმებზე გაკეთდა განცხადება. ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ იაპონიაში მომხდარი კატასტროფის გამო მწუხარება გამოთქვა და განაცხადა, რომ იაპონიასთან საქართველოს კარგი ორმხრივი ურთიერთობები აქვს.**



საქართველოს ხელისუფლებამ იაპონიის დახმარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, საქართველოს სამაშველო ჯგუფები იაპონიაში გაემგზავრებიან. ასევე საუბარია ფინანსურ დახმარებაზე. თუმცა, ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

— იაპონია არის ის სახელმწიფო, რომელიც ჩვენ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად ყოველთვის გვერდით გვიდგას. ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფოა ამ კუთხით. გვერდით დაგვიდგა ომის შემდგომ და დახმარება გაგვიწია. მთავრობაში საგანგებო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ იაპონიაში გაიგზავნოს სამაშველო ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ იაპონიის ხელისუფლებას. ასევე მიმდინარეობს მსჯელობა ფულადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. მზად ვართ სახსრები გამოვყოთ შესაძლებლობების ფარგლებში. საგარეო უწყებებს შორის უკვე შედგა ამის შესახებ საუბარი. იაპონია მიესალმება ჩვენი მხრიდან ასეთ ჟესტს. უახლოეს მომავალში კონკრეტულ დახმარებაზე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, — განაცხადა კალანდაძემ.

იაპონიაში საქართველოს ყველა მოქალაქესთან, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, კონტაქტი არსებობს. აღნიშნულ ინფორმაციას საელჩოზე დაყრდნობით ავრცელებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

— ყველა მოქალაქესთან აქტიური კავშირი არის დამყარებული, მათ შორის ჩვენი საელჩოს აქტიური მონაწილეობითაც. ჩვენი მოქალაქეების ფიზიკური და უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ ჩვენ სრულ ინფორმაციას ვფლობთ. საბედნიეროდ ეს ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია. მათ საფრთხე არ შეხებიათ. რაც შეეხება არალეგალურად მყოფ პირებს იაპონიის ტერიტორიაზე, ზოგადად ნებისმიერ სახელმწიფოში არალეგალი პირების შესახებ ინფორმაციის მიღება ძალიან რთულია, რადგან რეგისტრირებულები არ არიან და საელჩოსთან ურთიერთობას ერიდებიან. შესაბამისად მათ შესახებ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიგებთ, როდესაც კონკრეტულ ინციდენტს აქვს ადგილი. იაპონია ამ თვალსაზრისით გამოირჩევა, რადგან იქ არალეგალები არ არიან. საქართველოს საელჩოს კოორდინატები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ჩვენ, ყველა ჩვენს მოქალაქეს, ლეგალურად იმყოფებიან თუ არალეგალურად, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თანასწორად განვიხილავთ. მათთვის დახმარების აღმოჩენა ორივე შემთხვევაში სავალდებულოა ჩვენთვის. იმედი მაქვს, ვინც დახმარებას საჭიროებს, ჩვენს საელჩოსთან დაკავშირებას მოახერხებს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტზე ისაუბრეს.

მიხეილ სააკაშვილმა ეკონომიკურ ჯგუფებთან შეხვედრის პარალელურად შეხვედრები გამართა ქართულ დიასპორასთან.

— ამ ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეხვედრები. მიმდინარე კვირას დაგეგმილია პრეზიდენტის შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმსარულებელ დირექტორთან. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობის ლიდერთან და სენატის რესპუბლიკელების ლიდერთან. ჩვენი შეფასებით საქართველოს დელეგაციის ვიზიტი შეერთებულ შტატებში ძალიან წარმატებით მიმდინარეობს. ვიზიტი იმაზე უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე ჩვენი მოლოდინი იყო, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ამერიკაში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა დონალდ ტრამპის საქართველოში შემოსვლის ხელშეკრულებას. თუმცა, ხელშეკრულების დეტალები ჯერ პრესისთვის უცნობია. უცნობია, საქართველოში ვინ განახორციელებს 250 მილიონი დოლარის ინვესტიციას. დონალდ ტრამპი თავად იქნება ინვესტორი თუ საქართველომ მხოლოდ ბრენდი შეიძინა ტრამპისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ცნობილია, კიდევ ერთი დელეგაცია გაემგზავრება. საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში გამართავს ხალხთა შორის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრას, სადაც განათლების, კულტურის და ჯანდაცვის საკითხები იქნება განხილული.

— საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, რადგან 15 მარტს ვაშინგტონში იმართება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პარტიის ფარგლებში ხალხთა შორისი სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილება, უპირველეს ყოვლისა, როგორც საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში გაცვლითი პროგრამები, ჯანდაცვის და მედიცინის, ასევე საკონსულო ურთიერთობების საკითხებში ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა, ამავდროულად პოლიტიკური საკითხები, ისეთი საკითხი, როგორიც არის ქარტიის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობის თანამშრომლობის საკითხები, — აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

15 მარტს საქართველოს დელეგაცია ბრიუსელში მონაწილეობას მეოთხე პლენარულ სესიაზე მიიღებს. საქართველოს ბრიუსელში ევროკავშირთან მთავარი მომლაპარაკებელი თორნიკე გორდაძე წარმოადგენს.

მეოთხე პლენარულ სესიაზე ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ტექსტი შემუშავდება.

— საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ბრიუსელში დაგეგმილ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების მიზნით დაგეგმილ მეოთხე პლენარულ სესიაზე. როგორც ცნობილია, სამი რაუნდი უკვე ჩატარებულია. ასოცირების შეთანხმება ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმატია ევროკავშირთან ურთიერთობაში შინაარსობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ტექსტის შემუშავებას და აუცილებელია, რომ ჩვენი დელეგაცია მონაწილეობდეს ტექსტის შემუშავების პროცესში. როდესაც ტექსტი შემუშავდება და ასოცირების შეთანხმება ხელმოწერილი იქნება, აღნიშნული შეთანხმება ჩაანაცვლებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. რაც ნიშნავს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის სხვა ეტაპზე გადასვლას. იმედი გვაქვს, რომ ამ სესიის ფარგლებში წარმატება გვექნება, — აღნიშნა კალანდაძემ.

15-17 მარტს საქართველოს ვიზიტით ეწვევა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი. შეხვედრაზე განხილული იქნება ეუთოსთან თანამშრომლობის რეაბილიტირების საკითხი.

საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, მეგობარი სახელმწიფოს თავმჯდომარეობის პირობებში ეუთოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულობაზე უფრო აქტიურად იქნება საუბარი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, საქართველოს უარის

გაგრძელება მე-6 გვერდზე



# რა საფრთხეებს გვიქმნის სომხეთის ატომური სადგური

თეა მარხვაი ე

**ბოლო დროს ხშირად ისმის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩერნობილი ისევ საშიში ხდება. ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ სომხეთის ატომურ სადგურზე შეიძლება პრობლემები შეიქმნას.**
**რა საფრთხეები შეიძლება შექმნას ჩერნობილმა, რა ხდება სომხეთის ატომურ სადგურზე ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობა" ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიკოსს მიხეილ კავილაძეს ესაუბრება.**

## ჩერნობილი ისევ საშიშია



მიხეილ კავილაძე:

— ჩერნობილის რეაქტორიდან ამოფრქვეული რადიონუკლირების რაოდენობა შეფასებულ იქნა, იმ საერთო რადიაციით, რომელიც დაეფინა ნიადაგს, აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროდან იაპონიამდე. შედეგად, ცნობილია, რომ გამოიფრქვა 50 მილიონი კიური, რაც იყო, იმ დროისათვის რეაქტორში, დაგროვილი საერთო აქტიობის დაახლოებით 3.5%. ამდენად რადიაციის ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 94% დღესაც დანგრეულ რეაქტორშია, მართალია, ამ 25 წლის განმავლობაში, მცირე ნახევადაშლის მქონე იზოტოპები უკვე დაიშალა, მაგრამ დიდი რაოდენობით დარჩა; სტრონციუმი-90 და ცეზიუმი-137, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება მხოლოდ 100 წლის შემდეგ. პლუტონიუმი-239, განახევრდება მხოლოდ 24 400 წლის შემდეგ. ტრანსურანული ელემენტები, რომელთა რაოდენობა შემცირდება მილიონი წლების შემდეგ. დანგრეული რეაქტორის, დიდი რადიაციის გამო მასთან მიახლოება შეუძლებელი იყო, ამიტომ აფეთქებიდან, სულ რამოდენიმე თვეში, იგი მთლიანად მოათავსეს დროებით სარკოფაგში, რომლის სიმაღლეა 61 მეტრი, ხოლო სისქე 18 მეტრია. სარკოფაგს აქვს ოცი წლის გარანტია. და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***— რა შეიძლება მოხდეს?***

— შეიძლება სარკოფაგი ჩამოიშალოს.

***— რას გამოიწვევს სარკოფაგის ჩამოშლა?***

— ჩამოშლისას, რეაქტორზე დაცემის შემთხვევაში, მასში დაგროვილი რადიაცია ამოფრქვა. ამდენად დღეს არსებობს ახალი მნიშვნელოვანი კატასტროფის საშიშროება. მსოფლიო მოლოდინშია, განსაკუთრებით ევროპა. ამდენად მათვე ინციატივით და ფინანსური დახმარებით, გადაწყდა ახალი უსაფრთხო სარკოფაგის მშენებლობა, რომელიც გადაფარავს პირველს. მისი სიგრძე იქნება 258 მეტრი, სიგანე 164 მეტრი, სიმაღლე 108 მეტრი. რომლის მდგრადობა გარანტირებული იქნება 100 წლის მანძილზე და წინასწარი გათვლებით დაჯდება 2,21 მილიარდი დილარი. ფიქრობენ, რომ 100 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება, დანგრეული რეაქტორის, უკვე მიწაში ღრმად დამარხვა. რაც შეეხება რეაქტორის გარშემო 30 კილომეტრიან ზონას, სამწუხაროდ იგი რადიაციული დარჩება კიდევ ათობით ათასი წელი. ჩერნობილმა უამრავი ხალხი შეიწირა. ასეთი მაშტაბების ტრაგედია არ მოხდებოდა, თავიდანვე, რომ შეექმმნათ რეზერვუარი. რომელიც დაიცავდა ატმოსფეროს, რეაქტორის რადიაციისაგან. აშშ-ში, პენსილვანიაში, მოხდა ჩერნობილზე დიდი აფეთქება, მაგრამ რადგან სადგურს ქონდა რეზერვუარი, რეაქტორიდან ამოფრქვეული რადიონუკლიდები დაგროვდა მოცულობაში და არ გავრცელდა, ისე როგორც ეს მოხდა ჩერნობილის შემთხვევაში. გარდა ამისა, რეაქტორს იქ რამოდენიმე წლის განმავლობაში არავინ მიჰკარებია. ამ დროის განმავლობაში ნაწილი ელემენტებისა დაიშალა. მაგალითად იოდი-131, რომელმაც ჩერნობილის შემთხვევაში უდიდესი ზიანი მიაყენა ყოველივე ცოცხალს, იქ საშიშროებას არ წარმოადგენდა. რადგან მისი ნახევარდაშლის პერიოდი 8 დღეა, ამიტომ დაახლოებით 2 თვეში რეზერვუარვე დაიშალა.

***— საბჭოთა კავშირში არ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა მსგავსი საფრთხის წინაშე დამდგარიყვნენ?***

— ცხადია, ამ საფრთხის შესახებ მოსკოვში, კარგად იცოდნენ, მარამ როგორც აღნიშნავენ აკადემიკოსი ალექსანდროვი მოექცა სამინისტროს გავლენის ქვეშ. მათ კი ეკონომიის მიზნით, უარი თქვეს რეზერვუარზე, რაც საშუალებას იძლეოდა მიეღოთ დიდი პრემიები. მართალია, ალექსანდროვი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბოლოს დათმო. არა და მას ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი. იგი კურჩატოვთან ერთადXიყო სბჭოთა კავშირში ატომური ენერგეტიკის ფუძემდებელი. აკადემიის პრეზიდენტი და ყველაზე პრესტიჟული კურჩატოვის სახელობის ბირთვული ინსტიტუტის დირექტორი. ლაურეატი, 3—ჯერ შრიმის გმირი, დეპუტატი და ცენტრალური კომიტეტის წევრი. მიუხედავად ამისა მან ვერ გამოიჩინა პრინციპულობა მთელ რიგ საკითხებში. რაც ძალზე ძვირად დაუჯდა კაცობრიობას. შემდგომში მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ ადრე შექმნილ სადგურებს რეზერვუარი ვერ დაუმატეს. ამიტომ გერმანელებმა გაერთიანების შემდეგ, დაზღვევის მიზნით, გააჩერეს, აღმოსავლეთ გერმანიაში მომქმედი ოთხივე ატომური სადგური, იგივე გააკეთეს ბულგარელებმა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ დარჩა, სომხეთში.

***— რატომ ჩვენდა სამწუხაროდ, მან შეიძლება საფრთხე შეგვიქმნას?***

— რა თქმა უნდა. ეს სადგური დროს ძველი მოდელია და უსაფრთხოების თვალსაზრისით აქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლი. შედეგად 1982 წელს ოქტომბერში, მხოლოდ ღმერთის წყალობით, გადარჩა რეაქტორი აფეთქებას, ხოლო რეგიონი საშიშ რადიოაქტიურ დაბინძურებას. ჩერნობილის შემდეგ გარბაჩოვი იმეორებდა, „როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, ჩვენ ხომ მეცნიერები ყოველთვის გვარწმუნებდნენ, რომ ატომური რეაქტორი აბსოლუტურად უსაფრთხოა. ალექსანდროვი იმასაც გვეუბნებოდა, რომ ჩერნობილის ტიპის რეაქტორი შეიძლება მოვათავსოთ წითელ მოედანზე, რადგან მისგან საშიშროება ისეთივეა როგორიც სამოვარისაგან". ამ „სამოვარმა" კი რაც მოუტანა მსოფლიოს, დღეს კარგად ვიცით. ამაზე არა ერთხელ მეც დამიწერია. მაგრამ განსაკუთრებით დამაფიქრებელია სამი თვის წინად უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის განაცხადა, რომ „რადიაქტიური გამოსხივების დამანგრეველი ქმედებისგან იტანჯება დაახლოებით ორი მილიონი მოქალაქე, რომელთაგან 498 ათასი ბავშვია". ე,ი, მხო;ოდ დასხივებული კი არა, რასაც ადამიანი ვერ გრძნობს, არამედ იტანჯება უკვე მისგან გამოწვეული მძიმე დაავადებებით, როგორიცაა; სიმსივნე, ინფარქტი, ინსულტი, დაუნი, დიაბეტი და ა.შ. ჩერნობილის შემდეგ კიევში სერიოზულად განიხილებოდა ქალაქის სრული ევაკუაციის საკითხი.

***— რატომ აღარ მოხდა ქალაქის ევაკუაცია?***

— ევაკუაციას ვინ ჩივის, პოლიტბიუროს მითითებით მთავრობას დაევალა, პირველ მაისის დემონსტრაციის, მაღალ დონეზე ჩატარება. რამაც გამოიწვია მოსახლეობის გაუმართლებელი დასხივება. შემდგომში ჟურნალისტის შეკითხვაზე „რატომ არ გააუქმეთ დემონსტრაცია" გორბაჩოვმა თავი იმართლა: „1 მაისს ჯერ კიდევ არ გვქონდა მომხდარის სრული სურათი. ჩვენ მართლაც გვეშინოდა პანიკის. თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მასიური პანიკა მრავალ მილიონიან ქალაქში! ახლა კი ნათელია, რომ ეს იყო შეცდომა...მე ყოველთვის დაკავშირებული ვიყავი მიწასთან და ჩემი ინტერესი ეკოლოგიის მიმართ გამომდინარეობს მთელი ჩემი ცხოვრებიდან. ძმაგრამ მხოლოდ კრემლში, როდესაც გავხდი გენერალური მდივანი, მე გავითავისე ეკოლოგიური არასრულყოფილების მაშტაბები საბჭოთა კავშირში... ჩერნობილის კატასტროფამ კი აჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია დიდი ხნით დავაბინძუროთ პლანეტა და მომავალ თაობებს დაუტოვოთ საშინელი მემკვიდროება.

უკრაინის სპეციელისტების მტკიცებით უკანასკნელ წლებში სიმსივნეების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ვოზიანოვმა ისიც კი განაცხადა, რომ „სიმსივნე პოტენციურად ემუქრება უკრაინის მოსახლეობის 94%—ს".

***— ეს მართლა ასეა?***

— ცხადია, ეს არ ნიშნავს რომ ყველი მათგანი ავად გახდება. მან, ალბათ, გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ყოელი ადამიანის ორგანიზმი მეტნაკლებად მატარებელია რადიაციის, რომლითაც გარე რადიაციასთან ერთად, საკმაოდ სხივდება. შემდგომში როგორ განვითარდება პროცესები უკვე დამოკიდებულია ორგანიზმის დამცავ მექანიზმებზე, პირველ რიგში იმუნურ სისტემაზე. შესაძლოა დასხივებული თვითონ არ დაავადდეს, მაგრამ მისი გენური დარღვევები გადაეცემა შთამომავლობას. სწორედ ეს ფაქტია უაღრესად საგანგაშო და მისი იგნორირება დაუშვებელია. ამასთან დაკავშირებით ელცინმა, ჯერ კიდევ 1990 წლის 19 ოქტომბერს გამოსცა განკარგულება, რომლის ერთერთი პუნქტია: „მოსახლეობისათვის რომლებმაც 50-იან წლებში მიიღეს გაზრდილი დასხივება, მათი შვილებისათვის და შვილის შვილებისათვისაც ჯამრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მეთოდების შექმნა". პროფესორმა ნიკიტჩენკომ 05.02.10 მიმართა მთავრობას; „ბელორუსიაში დემოგრაფიული კატასტროფაა, ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის რეალური რადიაციული დაცვა, მთელ ტერიტორიაზე". ამ პროცესების ღრმად შესწავლას სამწუხაროდ აფერხებს ზოგიერთი მეცნიერის არამეცნიერული გამონათქვამი. მაგალითად აკადემიკოსი შატალინი წერს: „ჩვენ (იგულისხმება რუსები) ფანტასტიური გენები გვაქვს, რომელთაც აქვთ თვიაღდგენის უმაგალითო შესაძლებლობი". მსგავსი განცხადებების ავტორებს კი ხელისუფლება ყოველთვის აფასებს, რადგან ამით ზოგავს დიდ თანხებს. მაგრამ დაავადება არ იმალება. მართლაც ამ ფანტასტიური გენების მქონე რუსეთის მოსახლეობა, ყოველ წლიურად, მცირდრბა თითქმის მილიონით. სპიკერი ს. მირონოვი, რომელიც მესამე პირია, შიშობს, რომ 2080 წელს მოსახლეობა დარჩება 52 მილიონი. იგივე ტენდენციაა განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობას ინარჩუნებენ მხოლოდ ემიგრანტების ხარჯზე. სამწუხაროდ ჩვენც იგივე გვემუქრება. მიუხადავად აღნიშნული ფაქტებისა, მსოფლიოს მოსახლეობა განუხრელად მატულობს. თუ არაფერი შეიცვალა 2050 წელისათვის მოელიან 16 მილიარდს, ხოლო საუკუნის ბოლოს უკვე 40 მილიარდს. განვითარებულ ქვეყნების მძიმე სურათი, შეიძლება, განპირობებულია იმით, რომ პირველი ატომური ბომბები შეიქმნა სწორედ მათთან; ამ მოსაზრებით მომავალში იგივე პროცესები დაიწყება; ჩინეთში, ინდოეთში, პაკისტანში და ა.შ. ხოლო ატომური ელექტროსადგური უკვე აქვს 30 ქვეყანას და 32 კი გეგმავს. ამდენად მსოფლიო, სულ უფრო და უფრო, რადიაციული გახდება. ამერიკელი კონგრესმენები, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, განსაკუთრებით შეაშფოთდნენ „ჭუჭყიანი" ბომბის გამოყენების შესაძლებლობით, რომლის აფეთქების შედეგად გარემო, მართალია მხოლოდ ლოკალურად, მაგრამ ხდება რადიოაქტიური. ამასთან დაკავშირებით, 2004 წელს კონგრესმა სასწრაფოდ შექმნა რამოდენიმე სამეცნიერო ცენტრი. რომელთაც დაევალა ისეთი წამლის შექმნა, რომელიც მოსახლეობას დაიცავდა რადიაციისგან.

***— ასეთი წამლის შექმნა შესაძლებელია?***

— ასეთი უნივერსალური წამლის შექმნა ეფემერულია, მაგრამ ნათლად გვიჩვენებს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რადიაციისგან დაცვის საკითხებს.ამ დროს ჩვენ არამც თუ სკოლაში, უმაღლესებშიაც კი აღარ ვასწავლით რადიაციას და მასთან დაკავშირებულ საგნებს. შედეგიც სახეზეა, მართლაც აღარა გვყავს რადიაციის მაღალი დონის სპეციალისტი. რადიაციის საკითხებზე მუშაობს ხალხი, რომლებიც განათლებით სულ სხვა დარგის სპეციალისტია. მართალია, აითვისეს დოზიმეტრია, მაგრამ არ იციან საჭირო დონით რადიაცია. შედეგად მათ მიერ შესრულებული სამუშაოები უსუსურია, რაც მომავალში აისახება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობების, ჯანმრთელობაზე. ხშირად ისმის, რომ საჭიროა ვიზრუნოთ გამრავლებაზე, რაც ცხადია აუცილებელია, მაგრამ, ალბათ, ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ გვყავდეს მკვდრად შიბილები და დაბადებიდან ინვალიდები. ჩვენი სტატისტიკა არ ვიცით, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითზე, ცნობილია, რომ მათი რიცხვი მატულობს, რაც პირდაპირი მაჩვენებელია ერის გადაგვარების. ამდენად აუცილებელია ჩვენც რეალურად დავიწყო რადიაციული გარემოს გამოსწორების პროცეი.

# საქართველო იაპონიას დაეხმარება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

შემთხვევაშიც რუსეთი მოახერხებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

ლავროვის განცხადებას გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში უპასუხეს.

— თეორიული შესაძლებლობა სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, რამდენადაც ცნობილია, წესდება ითვალისწინებს თეორიულ შესაძლებლობას, რომ რომელიმე ქვეყნის გვერდის ავლით მოხდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ გამიკვირდება, რომ ასეთი პრეცედენტის დაშვება მოინდომოს სავაჭრო ორგანიზაციამ. ეს იქნება იშვიათი და უცნაური გამონაკლისი. კონსენსუსის პრინციპის დარღვევა საჭიროებს ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობას. ამიტომ უდავოდ გასაკვირი იქნება, რომ ასეთი გადაწყვეტილება იქნას მიღებული. ეს საკითხი ყველასთვის არის მნიშვნელოვანი, მათ შორის ჩვენთვისაც. შესაბამისად ჩვენ ამ დიალოგში მაქსიმალურად კონსტრუქციული ვართ. ვცდილობთ ხელშემწყობი პოზიცია გაგვაჩნდეს. ამავდროულად ჩვენი პრინციპიული პოზიცია, რომ საქართველოს ინტერესები დაცული იქნას. დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან მოლაპარაკება ახლა დაიწყო. პირველი შეხვედრა მიზნად ისახავდა პოზიციების მაქსიმალურ დაახლოებას. მოლაპარაკებები ხანგრძლივი პროცესია. ამ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა დაგვჭირდება. ვნახეთ, როგორც წარიმართება შემდგომი მოლაპარაკებები. მცდელობა არის ორივე მხრიდან, რომ პოზიციების დაახლოება მოხდეს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რასაკვირველია, კონსენსუსის წესით ხდება, — ამბობს კალანდაძე.

საქართველო-ისრაელს შორის ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე (ებრაელი ბიზნესმენების დაკავება) ჟურნალისტებმა კალანდაძეს რამდენიმე კითხვა დაუსვეს.

გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი გაუქმდა ისრაელში, რა იყო ვიზიტის გაუქმების რეალური მიზეზი?

გართულდება თუ არა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები?

— არ მგონია, რომ ამის გამო ორ ქვეყანას შორის დაიძაბოს ურთიერთობები. ჩვენთვის ცნობილია, რომ ებრაული მხარე მტკივნეულად განიცდის ამ ფაქტს. განსაკუთრებით ისრაელის მოქალაქეები. მიუხედავად ამისა, ისრაელის ხელისუფლებასთან მუდმივ დიალოგში ვიმყოფებით. ყველა ინფორმაციას ვაწვდით, რომელიც მათ აინტერესებთ. ეს არის ცალსახად კრიმინალური საკითხი, რომელიც მხოლოდ ამ ჭრილში უნდა განიხილებოდეს და არ შეიძლება პოლიტიკური ურთიერთობების ჭრილში გადავიდეს. ამ ეტაპზე არავითარი ნიშანი არ არის, რომ ეს საკითხი ასე იდგეს. ისრაელთან კარგი პოლიტიკური ურთიერთობები გვაქვს და ეჭვი მეპარება, რომ ასე მარტივად შეიძლებოდეს ურთიერთობებზე დაღის დასმა, — აცხადებს კალანდაძე.

კალანდაძის ინფორმაციით, დავით ბაქრაძის ვიზიტი ისრაელში გადაიდო და არ გაუქმებულა. რისი მიზეზიც, როგორც ოფიციალური ისრაელი იტყობინება, დაუგეგმავი სამთავრობო დებატები გახდა, რომელიც ქნესეთში დაინიშნა.

ერთ-ერთი ებრაული გაზეთი ისრაელის ხელისუფლებასთან საქართველოს ელჩის გაძევებას ითხოვს.

საქმე №2/4789-2011

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით**
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

18 თებერვალი 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განვიხილე შ.პ.ს. „სისამტრანს"-ის კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოწვეული იქნას შ.პ.ს. შ.პ.ს. „სისამტრანს"-ის (შეცვლილი სახელწოდება — შ.პ.ს. „ევერესტ მარიენ ჯორჯია", საიდენტიფიკაციო №211384802) კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. გაკოტრების მმართველის მოხსენება მოვალის ქონების, ფინანსური მდგომარეობის, ვალდებულებების და საზოგადოების მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესაძლო გაგრძელების შესახებ.

2. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2011 წლის 17 მარტს 10:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №23 სხდომის დარბაზში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

3. დაევალოს შ.პ.ს. „სისამტრანს"-ის გაკოტრების მმართველს კრედიტორთათვის კრედიტორთა კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა.

4. განჩინება გამოქვეყნდეს ჟურნალში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", რაც დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს. განჩინება გამოქვეყნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში და სასამართლოს ვებ გვერდზე (TCC.GOV.GE).

5. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს განჩინებაზე შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან ან გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

*მოსამართლე* *ლაშა ქოჩიაშვილი*

## გიგი წერეთელმა ქარელში შეხვედრები გამართა



პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელმა ქარელის რაიონის სოფლებში შეხვედრები გამართა. მოსახლეობასთან საუბრები შედგა სოფელ რუისში, ქვენატკოცში და ქარელის რაიონულ ცენტრში. საუბრის ძირითად თემას წარმოადგენდა მოსახლეობის პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, დაწყებული გაზიფიკაციის და სარწყავი წყლის, ასევე ჯანდაცვის, სადაზღვევო პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

გიგი წერეთელმა მოსახლეობას ასევე გააცნო ხელისუფლების პროექტები, რომლებიც უკავშირდება ანტიინფლაციურ ღონისძიებებსა და ფასების ზრდასთან დაკავშირებულ ზომებს, ესაუბრა ვაუჩერიზაციის, საპენსიო მატების და სოციალური დახმარების ეფექტური განაწილების შესახებ, უპასუხა მათ შეკითხვებს.

შეხვედრებში ასევე მონაწილეობდნენ დეპუტატი გია როინიშვილი და ქარელის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელები.

**ინტერპრესნიუსი**

## „სახალხო კრება“ ხვალ თბილისის შეკრებას გამართავს

ვერის პარკში მდებარე საკალათბურთო დარბაზში დღეს „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ თბილისის შეკრება გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, შეკრება წარმომადგენლობითი იქნება და მასში რამდენიმე ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

დღევანდელ ღონისძიებას დაესწრებიან - კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები, წინააღმდეგობის თბილისის კომიტეტები და დედაქალაქის მასშტაბით მოქმედი შეფიცულთა ჯგუფები.

პრესსამსახურის ინფორმაციით, შეკრებაზე გახმოვანდება კრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. გადაწყვეტიების შინაარსი ან დროისთვის არ კონკრეტდება.

**ინტერპრესნიუსი**

## დიმიტრი მედვედევმა მუამარ კადაფი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა



რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის, მისი გარემოცვის წევრებსა და ნათესავებს რუსეთში შესვლა და რუსეთის გავლით გადაადგილება აუკრძალა.

მედვედევის ბრძანებას ახლავს 15 ფიზიკური პირის სია, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა ან ფედერაციის გავლით გადაადგილება ეკრძალება.

სიაში, კადაფის გარდა, აღმოჩნდნენ კადაფის ქალიშვილი აიშა და მისი 7 ვაჟი, აგრეთვე, უსაფრთხოების საკითხებში პოლკოვნიკის მრჩეველი მუტასიმ კადაფი, სპეციალური დანიშნულების რაზმების მთავარსარდალი საადი კადაფი და კადაფის ფონდის ხელმძღვანელი სეიფ ალ-ისლამ კადაფი. აკრძალვა ვრცელდება ასევე ლიბიის ლიდერის ბიძაშვილზე, კადაფ ად-დამ საიდ მუჰამედზე.

სიაში მოხვდა ლიბიის საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსი დორდ აბუ ზაიდ უმარი და ლიბიის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი ჯაბერ აბუ ბაკრ იუნესი, რომელიც შეიარაღებული ძალების ყველა ქმედებაზე პასუხისმგებელი.

**ინტერპრესნიუსი**

# რატომ გაუნაწყენდნენ აფხაზები საქართველოს ხელისუფლებას

გულიკო ბალა ე

**მართალია, უახლოესი 20-წლიანი ისტორიის ამ ეტაპზე, აფხაზეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა სეპარატისტებისა და კრემლის პოზიციებზე დადგა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, ისინი ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად გრძნობდნენ თავს და საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს.**

— 1918-21 წლებში რუსების, სომხებისა და ბერძნების უდიდესი ნაწილი თავიდან ბოლომდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე იდგნენ, — აცხადებს ისტორიის დოქტორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია.

***— ბატონო ჯემალ, მოგეხსენებათ, 90-იან წლებში აფხაზეთში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა რუსეთისა და კრემლის სამსახურში ჩადგა. როგორი ვითარება იყო 1918-21 წლებში დემოკრატიული საქართველოს პირობებში?***

— დემოკრატიული საქართველოს პირობებში თვით აფხაზობა არ იყო ერთიანი თავისი ორიენტაციის საკითხებში. იმ დროს ძალიან ძლიერი იყო ქართული ორიენტაცია. თუმცა, მაშინ იქ არსებობდა თურქული და რუსული ორიენტაციაც. თანაც მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თეთრგვარდიული ორიენტაცია იქნებოდა თუ ბოლშევიკური. ის ადამიანები, რომლებიც თეთრგვარდიელებთან დარბოდნენ, შემდეგ ბოლშევიკებთან იყვნენ, მაგრამ ორიენტაცია გამოკვეთილი გახლდათ, წამყვანი ქართული ორიენტაცია იყო. ყველაზე გავლენიანი და განათლებული პირები, ვინც იმ პერიოდში აფხაზებს ჰყავდათ, იყვნენ ვარლამ შერვაშიძე, არზაყან ემხვარი, ვასილ გურჩუა და ბევრი სხვა. იგივე პოზიციაზე იდგა დიმიტრი გულიაც, რომელიც სახალხო საბჭოს წევრი გახლდათ. ეს ადამიანები სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე იდგნენ. თანაც ვარლამ შერვაშიძე, არზაყან ემხვარი და ვასილ გურჩუა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები გახლდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერდნენ.

***— თავისი ცნობიერებით ისინი თავს ვის მიაკუთვნებდნენ?***

— მათ აფხაზური ცნობიერება ჰქონდათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართულს დაპირისპირებოდნენ. ისინი ზოგად ქართულში ორგანულად ჯდებოდნენ. თავს ცალკე ეროვნებას მიაკუთვნებდნენ, ავტონომიის მქონე ეროვნებად, მაგრამ ერთიან ქართულ სახელმწიფოში. მათ ეს არაერთხელ განუცხადებიათ. მათი პოლიტიკა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. გარდა აფხაზებისა, აფხაზეთში დიდი რაოდენობით რუსული, სომხური და ბერძნული მოსახლეობა ცხოვრობდა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, 90-იანი წლებისგან განსხვავებით, არაქართული მოსახლეობის ძალიან დიდი და გავლენიანი ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე იდგა. იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ამ საქმეს სათავეში ედგნენ.

***— მაგალითად, მათ თავიანთი ლიდერები ჰყავდათ?***

— არსებობდა რუსული მოძრაობა — რუსული თეთრგვარდიული მოძრაობაც და ბოლშევიკური მოძრაობაც, მაგრამ ის უფრო იატაკქვეშ არსებობდა. ოფიციალურად, რუსთა ეროვნული საბჭო, მთლიანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე იყო. მათი ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი დიმიტრი ზახაროვი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და, ამავდროულად, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრიც გახლდათ. ის ადამიანი ასევე ხელს აწერდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და აფხაზეთის სახალხო საბჭოში საქართველოს პოზიციას იცავდა.

***— იმ პერიოდში რუსული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის საქართველოს პოზიციაზე დგომა რით აიხსნება?***

— განსხვავებით დღევანდელობისგან, მაშინ პარტიულ პოზიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიმიტრი ზახაროვი სოციალ-დემოკრატი მენშევიკი იყო და სოციალ-დემოკრატი მენშევიკების პოლიტიკას ატარებდა. ის იმავე პარტიაში იყო გაწევრიანებული, რომელი პარტიის წევრებიც იყვნენ ნოე ჟორდანია, რამიშვილი და სხვები. ის ჩხენკელის თანამებრძოლი გახლდათ. ჩხენკელი ხომ აფხაზეთიდანაა. ამიტომ იყო, რომ ისინი სოციალ-დემოკრატიულ პოზიციაზე იდგნენ და მათ პოლიტიკას ატარებდნენ. მე უფრო ამით ვხსნი...

***— რაც საქართველოსთვისაც ხელსაყრელი იყო...***

— ხელსაყრელი იყო, რასაკვირველია. ასევე ძალიან ცნობილი პიროვნება და ცნობილი ექიმი გახლდათ ფაშალიდი, ბერძენი. ის გასაბჭოების შემდეგაც აფხაზეთში მოღვაწეობდა, როგორც ექიმი. ამ ადამიანზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. არსებობს არა ერთი და ორი მისი გამოსვლა, აფხაზთა სახალხო საბჭოში, სადაც ფაშალიდი ქართველებზე უკეთესად იცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს. არსებობს მისი გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული გახლდათ ქართული ეკლესიის იურისდიქციის გავრცელებასთან აფხაზეთის ეპარქიაში. აფხაზეთის ეპარქიაში ქართული ეკლესიის იურისდიქცია გავრცელდა 1919 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ხოლო ნოემბერში სეპარატისტთა ჯგუფმა აფხაზთა სახალხო საბჭოში შეკითხვა დასვა. მთავრობის წინაშე დასვა საკითხი, ჩვენს ეკლესიას ქართული იურისდიქცია თავს ძალით მოახვიესო. ამასთან დაკავშირებით სეპარატისტებმა განმარტება მოითხოვეს. ახსნა-განმარტებით სახალხო საბჭოში მთავრობის წარმომადგენელი გამოვიდა, მაგრამ სახალხო საბჭოდან მათ ფაშალიდმა უპასუხა. მან ძალიან კარგად დაასაბუთა, რომ ქართული ეკლესია ოდითგანვე იყო ავტოკეფალური. შეკითხვის ავტორი იქ რუსიც იყო, დემიანოვი, რომელიც სახალხო საბჭოში, ფაქტობრივად, თეთრგვარდიელი დენიკინის წარმომადგენელი გახლდათ, ამიტომ ფაშალიდმა მას უთხრა, როდესაც რუსები ტერუმს სცემდნენ თაყვანს, მაშინ აქ მართლმადიდებლობა ჰყაოდა, მე-4 — მე-5 საუკუნეებიდან ქართველებს უკვე ავტოკეფალია ჰქონდათ და სოხუმი, აფხაზეთი და მთლიანად ეს ტერიტორია, ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იყოო. ისე კარგად დაასაბუთა ფაშალიდმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და აფხაზეთში მისი იურიდისქციის გავრცელების კანონიერება, რომ ამ საკითხზე კამათი აღარ გაგრძელებულა, მისი შეთავაზებული რეზოლუცია მიიღეს.

***— რუსები ტერუმს სცემდნენ თაყვანს?***

— ტერუმი არის წარმართული ღვთაება, რომელსაც რუსები გაქრისტიანებამდე თაყვანს სცემდნენ. ფაშალიდმა უთხრა დემიანოვს, როცა თქვენ წარმართულ ღვთაება ტერუმს თაყვანს სცემდით, მაშინ აქ მართლმადიდებლობა ყვაოდა, ამ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქცია იყო და ქართული ეკლესია ავტოკეფალური გახლდათო.

ივანე ფაშალიდის კიდევ ერთ გამოსვლას გავიხსენებ. აფხაზეთის მაშინდელმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სკოლებში სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ. საერთოდ, სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანაზე კი არ იყო გადაწყვეტილება მიღებული, არამედ სკოლებში (რუსული, ქართული,



აფხაზური თუ ბერძნულ სკოლებში) ქართული ენის, როგორც საგნის სწავლების შესახებ. სეპარატისტულმა ჯგუფმა ეს გააპროტესტა და ამასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოითხოვა. მთავრობამ ახსნა-განმარტება გააკეთა, მაგრამ ამის დასაბუთება შესანიშნავად მოახერხეს ფაშალიდმა და რიონორ ანჩაბაძემ, ისტორიკოს გია ანჩაბაძის მამამ. მათი თქმით, სკოლებში სახელმწიფო ენა აუცილებლად რომ უნდა ისწავლებოდეს, ეს არის ელემენტარული რამ. ფაშალიდი ამბობდა, რომ სეპარატისტული ჯგუფი ყველაფერს ქართულს ებრძვის, კარგია, ცუდია, კანონიერია თუ უკანონოო.

***— ე.ი. სეპარატისტული ჯგუფი მაშინაც იყო?***

— დიახ, სეპარატისტები მაშინაც არსებობდნენ, მაგრამ უმცირესობაში იყვნენ.

***— სეპარატისტულ ჯგუფს მაშინ ვინ წარმოადგენდა?***

— ალანია, ტარნავა და სხვები.

***— ალანია ჯგუფელი მყავდა, სამეგრელოდან იყო. ალანია რანაირი აფხაზია?***

— გასაგებია, მაგრამ ისინი აფხაზობდნენ და სეპარატისტულ პოზიციაზე იდგნენ. მაშინ სეპარატისტული ჯგუფი იყო, მაგრამ აფხაზეთის პარლამენტში (მაშინდელ სახალხო საბჭოში) უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები და, შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე მდგომი პირები წარმოადგენდნენ.

***— ჩემს გაკვირვებას სომხების მხარდაჭერა იწვევს...***

— იქ იყო სომეხი ხრისტაფორ ავდალბეკიანი. ავდალბეკიანი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არ იყო, მაგრამ აფხაზეთის სახალხო კრების წევრი და აფხაზეთის სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. ეს პიროვნებაც და სომხური საბჭოც თავიდან ბოლომდე იდგნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციაზე. ისინი საქართველოს ინტერესებს ხმალამოღებული იცავდნენ. მაშინაც აფხაზეთში სხვადასხვა პრობლემები იქმნებოდა. მაგალითად, 1918 წელს ზაფხულში თურქეთმა დესანტი გადმოსხა და სომხობამ ძალიან დიდი როლი ითამაშა თურქული დესანტის განეიტრალებაში. სომხები ქართულ გვარდიას ეხმარებოდნენ თურქული დესანტის განეიტრალებაში. 1918 წელს ასევე იყო ბოლშევიკების შემოსევების დროსაც.

***— საკვირველია, ბოლშევიკების 70-წლიან ბატონობას სომხებზე რამდენად დიდი გავლენა მოუხდენია, რომ 90-იან წლებში ისინი ქართველების წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ.***

— დიახ, 1921 წლის შემდეგ რაც მოხდა, ეს არის კომუნისტური და საბჭოური იდეოლოგიის გავლენის შედეგი. ეს მიზანმიმართულად კეთდებოდა. ოფიციალური იდეოლოგია ანტიქართული არ ყოფილა, მაგრამ იქ მთავარი არაოფიციალური იდეოლოგია იყო, რომელიც თავიდან ბოლომდე ანტიქართული გახლდათ. რა თქმა უნდა, მოსახლეობის არაქართული ნაწილი, აფხაზობაზე რომ არაფერი ვთქვათ, 70 წლის განმავლობაში ანტიქართული ბაცილით იწამლებოდა. თუმცა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში აფხაზეთის არაქართული მოსახლეობის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით, ბერძნებმა, სომხებმა და რუსების ნაწილმა, ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცეს. შემდგომში, როცა ვითარება შეიცვალა და დაინახეს, რომ გამოჩნდა ძალა რუსეთის სახით, რომელიც აშკარად ჩაერია ჩვენს შინაურ საქმეებში, მათი პოზიციაც შეიცვალა, თორემ 90-იან წლებში შეიძლებოდა სხვა სურათი მიგვეღო.

***— მაინც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ქართული გავლენა დიდი იყო თუ არაქართული მოსახლეობის პოზიცია იმ პერიოდში რეალისტური გახლდათ?***

— ჯერ ერთი, პარტიული პოზიცია დიდ როლს თამაშობდა. მეორეც — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენდა.

***— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკაში ბერძნებისა და სომხებისთვის მოსაწონი რა იყო?***

— მათ, ფაქტობრივად, რუსეთის მოქალაქეობა არ ჰქონდათ. ისინი თურქეთიდან გადმოხვეწილი ადამიანები იყვნენ. შესაბამისად, არ ჰქონდათ მიწაზე საკუთრების უფლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბიკის მთავრობამ ყველა, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე 1914 წლამდე ცხოვრობდა, საქართველოს მოქალაქედ გამოაცხადა და ყველას მიწაზე საკუთრების უფლება მისცა. ამ ფაქტორმა ძალიან დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ სომხები და ბერძნები მთლიანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეზე გამოვიდნენ. სხვათა შორის, ამან აფხაზ სეპარატისტთა ძალიან დიდი განაწყენება და, შესაბამისად, საქართველოსთან დაპირისპირების გამწვავება გამოიწვია.

***— თუმცა, მაშინ საქმე იარაღამდე არ მისულა. თუ ინციდენტები მაინც იყო?***

— აფხაზეთში იყო ქართული გვარდია. იარაღზე საქმე მიდიოდა მაშინ, როდესაც გარედან ხდებოდა შემოსევები. თურქული დესანტი რომ გადმოსხეს, ძველი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. მასში თურქეთის მოქალაქეები და თურქეთის არმიის ჯარისკაცები შედიოდნენ, მაგრამ წარმოშობით აფხაზი მუჰაჯირები გახლდნენ. ისინი კოდორში, ანუ დღევანდელ ოჩამჩირეში გადასხეს. მათთან ბრძოლა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. იქ, რა თქმა უნდა, იარაღის გამოყენების გარეშე, ვითარების დარეგულირება შეუძლებელი გახლდათ. ბუნებრივია, იქ ამ ბრძოლების დროს დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობაც, რომელიც თითქოს არაფერ შუაში იყო. ასე რომ, იმ დროს იარაღი გამოიყენეს. ასევე იარაღი გამოიყენეს ბოლშევიკების შემოსევების დროსაც. მათ დაიკავეს გუდაუთა, ახალი ათონი და სოხუმიც კი.

***— ისე, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ იმ პერიოდში მოახერხა მათი მოგერიება.***

— დიახ, მათი მოგერიება მოახერხა და არა მარტო აფხაზეთი გაათავისუფლა, არამედ გააგრძელა წინსვლა და ტუაფსემდე ჩავიდა. იქ დიდხანს ვერ გამაგრდნენ, მაგრამ სოჭს ჩვენი მთავრობა საკმაოდ დიდხანს ფლობდა.

# პოლონური ვიტრაჟები საქართველოშია

ეკა ირემაშვილი

თბილისის ისტორიის მუზეუმში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებული გამოფენა გაიხსნა. „კონფეიდიან ეკო-ქალაქი სვეკო“-დან — ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც წარმოდგენილია ანდრჟეი მარკოვსკის, იეჟი ნოვოსელსკისა და ადამ სტალონ დობრჟანსკის ვიტრაჟები და არქიტექტურული პროექტები.

ადამ სტალონ დობჟანსკიმ თავისი მოღვაწეობა საკრალურ ხელოვნებას მიუძღვნა. მან პოლონეთის 52 მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიებისათვის შექმნა პოლიქრომიული ვიტრაჟები და მოზაიკა, პირველმა შემოიტანა ვიტრაჟი ეკლესიის ინტერიერში. ადამ დობჟანსკი გრაფიკოსია იგი რომის პაპის, იოანე პავლე II-ს დროს, სამხატვრო საბჭოს წევრი იყო. კომუნისტური ხელისუფლების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი რეპრესიის შემდეგ, ხელოვანი კვლავ დაუბრუნდა საკუთარ შემოქმედებას.

საქართველოში პირველად, ფართო საზოგადოება გაეცნო ვიტრაჟის ხელოვნებას პოლონეთიდან. ექსპოზიციაზეა ვრცელი საგამოფენო პოლონურ-შვედური პროგრამა, რაც გულისხმობს ურბანული განვითარების ეკო-ქალაქს პეკინის ახლოს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მეორე ავტორის — ეჟი ნოვოსელსკის ხატწერა ინახება ლურდაში, მართლმადიდებლურ ეკლესიებში ვარშავასა და ჰაინუვკეში. იგი პოლონური ხატწერის სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო.

პროექტის მესამე წევრი ანდრჟეი მარკოვსკი კი მუშაობდა ბელგიაში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში, 2002 წლიდან გადავიდა პოლონეთში. იგი არქიტექტორია ისეთი ცნობილი შენობების, როგორებიცაა „ტივიენ“-ის შტაბ-სახლები და „მაზურკა თრეიველ“-ის საკონფერენციო ცენტრის შენობა.

პოლონური ვიტრაჟების გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 12 მარტს გაიხსნა და 31 მარტამდე გაგრძელდება.

# ჯარჯი ბალანჩივაძემ ზღაპრული სამყარო წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

მხატვარმა და მუსიკოსმა ჯარჯი ბალანჩივაძემ სახვითი ხელოვნების მოყვარულები შარდენზე გალერეა „ბაიაში“ მიიპატიჟა და თავისი ნამუშევრებიდან საუკეთესო 68 ნამუშევარი შესთავაზა. ტილოების უმეტესობა მხატვარმა მოღვაწეობის ბოლო წლებში შექმნა. „ბაია გალერეა“ ჯარჯი ბალანჩივაძის შემოქმედების მასპინძელი 2009 წელსაც იყო.

როგორც „ბაია გალერეას“ ხელმძღვანელმა ბაია წიქოძემ გამოფენის გახსნაზე განაცხადა, ზღაპრული სამყაროსთვის დამახასიათებელი ფერადოვნება, მარტივი და უშუალო პერსონაჟები — ეს ჯარჯი ბალანჩივაძის ხატვის სტილია, ამიტომაც მისი ნამუშევრები არასოდეს ტოვებს გულგრილს დამთვალიერებელს.

ჯარჯი ბალანჩივაძე აქტიურად მოღვაწეობს როგორც მხატვრობაში, ასევე მუსიკაშიც. იგი პროფესიით მუსიკოსია. მან მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორია დაამთავრა, თუმცა სამუშაოდ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში წამოვიდა ფორტეპიანოს პედაგოგად. მხატვარი თსუ-ში ლექციებსაც კითხულობდა და პარალელურად ფილარმონიის სოლისტიც იყო.

სწორედ ჯარჯი ბალანჩივაძის სახელთან არის დაკავშირებული კამერული ორკესტრის „ორფეუსის“ დაარსებაც, რომელსაც მოგვიანებით ანდრია ბალანჩივაძის სახელი მიენიჭა. მიუხედავად დატვირთული მუსიკალური ცხოვრებისა, მას ფუნჯი გვერდზე არასოდეს გადაუდია და ყოველთვის ხატავდა.

მისი გამოფენები ეწყობოდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მისი 400 ნამუშევარი დაცულია შვეიცარიის, გერმანიის, ჰოლანდიის და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში. თბილისში დაგეგმილი გამოფენის გარდა, უკვე გადაწყვეტილია, რომ ხელოვანი სხვადასხვა პერიოდებში საკუთარ ნამუშევრებს გამოფენს გერმანიაში, საფრანგეთში, სომხეთსა და ჰოლანდიაში.

„ბაია გალარეაში“ ჯარჯი ბალანჩივაძის ნამუშევრები 22 მარტამდე იქნება წარმოდგენილი.


# განცხადებები

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.


# ბუბა კიკაბიძეს ფილმი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

ქართველ მომღერალსა და მსახიობს ბუბა კიკაბიძეს უკრაინულმა ტელეკომპანიამ ფილმი მიუძღვნა. ტელეკომპანია „ინტერმა“ ქართველ ხელოვანზე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი შექმნა. ფილმის რეჟისორი ვლადიმერი ვილინსკია, ხოლო დამდგმელი რეჟისორი — ეკატერინა ცარიკი, რომელიც უკრაინაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და წარმატებულ კლიპმეიკერად არის მიჩნეული.

„მე — ლეგენდა“ — ასე ეწოდება ახალ პროექტს, რომელშიც ცნობილი ხელოვანები იქნებიან გაერთიანებული. უკრაინულმა ტელეკომპანიამ ამ პროექტში მონაწილეობისთვის 50 ქართველი შეარჩია. ეს ადამიანები ბუბასთვის მიძღვნილ ფილმში მის მშობლებს, მეგობრებს, ნათესავებსა თუ ახლობლებს თამაშობენ.

ქართველ მომღერალზე შექმნილი ფილმი 90 წუთიანია და მასში აქცენტი ბუბა კიკაბიძის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზეა გაკეთებული — დაწყებული ბავშვობით, დამთავრებული დღევანდელ მოღვაწეობამდე. შემოქმედებითმა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მომღერლის ბიოგრაფია, ხოლო თავად მომღერალი გადაღებებზე უკრაინაში მიიწვია. გზად მას სთხოვეს მოეყოლა საინტერესო ისტორიები და შემთხვევები მისი ცხოვრებიდან. ფილმში სიმღერებიც მრავლად არის ჩართული, რომლებიც გადამღები ჯგუფის მიერ სპეციალურად არის ინსცენირებული.

გადამღები ჯგუფი ფილმისთვის თბილისში არ ჩამოსულა. მათ „უკრაინატელეფილმის“ მთავარ პავილიონში მოაწყეს თბილისური ეზო თავისი აივნებით, კიბეებით, თბილისური ფერებითა ქართული სუფრით. პროექტის გადაღებებიც სწორედ იმ პავილიონში წარიმართა.

როგორც მომღერლის პროდიუსერმა, ბატონმა სოსო აბზიანიძემ გვითხრა, ეს ჩვენი ქვეყნისთვის პრესტიჟის საქმეა, რადგან ბატონი ბუბა ერთადერთი ქართველი ხელოვანია, რომელზეც უკრაინელებმა ფილმი გადაიღეს და ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

**სოსო აბზიანიძე, ბუბა კიკაბიძის პროდიუსერი:**



— ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ბუბას შესახებ. „მე — ლეგენდა“ კეთდება ყველა დროის ცნობილ ბრენდებზე, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმატებულები და განსაკუთრებულად პოპულარულები იყვნენ.

***— კიდევ ვინ არის გერჩეული ამ პროექტისთვის ბატონი ბუბას გარდა?***

— სულ ამ პროექტისთვის ათი ადამიანი შეარჩიეს. ყველა ეს ადამიანი ავტორებმა იმის მიხედვით შეარჩიეს, რომ მათ სიცოცხლეშივე მოიპოვეს არნახული პოპულარობა. ბუბას გარდა, ფილმი გაკეთდა ლუდმილა გურჩენკოზეც. ის პროექტის „მე — ლეგენდა“ პირველი გმირი იყო.

***— ქართველებიდან მხოლოდ ბატონი ბუბაა?***

— დიახ, ქართველებიდან მხოლოდ ბუბაა.

***— რატომ მაინცდამაინც ბატონი ბუბა?***

— ბუბა შეარჩიეს როგორც მსახიობი, მომღერალი, როგორც პიროვნება. როგორც პროექტის ავტორებმა განმარტეს, ისინი ფილმს იმ ადამიანებზე შექმნიან, რომლებიც სიცოცხლეშივე იქცნენ ლეგენდად. მათ შორის არის ბუბა კიკაბიძეც.

***— ფილმი უკვე დასრულდა?***

— კი, ფილმის გადაღებები უკვე დასრულებულია.

***— გადაღებები თბილისში მიმდინარეობდა?***

— არა, გადაღებები უკრაინაშივე წარიმართა. პროექტის ავტორებმა იქვე მოაწყეს პატარა თბილისი, ისეთი დეკორაცია ააწყეს, რომელიც ნამდვილად მოგაგონებდათ საქართველოს დედაქალაქს.

***— ფილმის პრემიერა როდის არის?***

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ აპრილისთვის ფილმი საპრემიეროდ უკვე მზად იქნება.

***— ქართველი მაყურებელი შეძლებს ეს ფილმი ნახოს?***

— კი, რა თქმა უნდა. ეს ფილმი უკრაინამ გადაიღო და არა რუსეთმა, ამიტომ ჩვენც ვნახავთ.

***— ბატონი ბუბა უკრაინაში სპეციალურად გადაღებებისთვის ჩავიდა?***

— დიახ, გადაღებები იყო, ჩვენ კონცერტი უკრაინაში დეკემბერში გვქონდა. საღამოები ჩავატარეთ როგორც კიევში, ასევე დოცენკშიც.

***— ახლა სად გაქვთ კონცერტები?***

— ძალიან მალე გვექნება კონცერტები ბალტიისპირეთის დედაქალაქებში.

***— საქართველოში?***

— საქართველოში ზაფხულის შემდეგ არ გვქონია კონცერტი, ცოტა დიდი პაუზა გამოგვივიდა, მაგრამ აქაც ჩავატარებთ კონცერტებს. გავაკეთებთ ახალ პროგრამას და ქართველი მაყურებლისთვისაც დიდი სიამოვნებით ვიმღერებთ.

# სიმფონიეტა კონსერვატორიაში დაუკრავს

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში 15 მარტს კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი — „საქართველოს სინფონიეტა“. სადირიჟორო პულტთან ლევ მარკიზი იდგება.

ლევ მარკიზი პირველი ქართული კამერული ორკესტრის კონსულტანტია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტურმა ორკესტრმა, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი მოიპოვა. მარკიზი სისტემატიურად ეხმარება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტებს სწავლის პროცესში სტიპენდიებით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ინსტრუმენტებისათვის საჭირო აქსესუარებით, სანოტო მასალით.

ორგანყოფილებიან კონცერტზე შესრულდება ბრიტენის „უბრალო სიმფონია“ სიმებიანი ორკესტრისთვის, მოცარტის „დივერტისმენტი“, მენდელსონის სიმფონია №10, შოსტაკოვიჩის კამერული სიმფონია. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 15 ლარამდეა.

კონსერვატორიაში კონცერტის ჩატარებამდე კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სიმფონიეტამ“ კონცერტი დუშეთში გამართა. ორკესტრს მსოფლიოში გამოჩენილი ლევ მარკიზი დირიჟორობდა, რომელიც არაერთი უმაღლესი კლასის ორკესტრის დამაარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი, დირიჟორი და კონცერტმაისტერია. დუშეთში ჩატარებულ კონცერტზეც იგივე საკონცერტო პროგრამა იყო წარმოდგენილი, რომელსაც 15 მარტს თბილისელი მსმენელი მოისმენს.

ეკა ირემაშვილი

## მადლობა

**საზოგადოება „კუს ტბა“ მადლობას უხდის ვაკე-საბურთალოს გამგეობას, თბილისის მერიას, მის კეთილმოწყობის სამსახურს. ჩვენს თხოვნაზე დროულად, გულისყურით, ოპერატიულად რეაგირების გამო „კუს ტბის“ მისასვლელი გზის, სავარჯიშო, სასეირნო ბილიკის გაყინული თოვლის ნალექისაგან გაწმენდისა და დასუფთავებისათვის.**

საზოგადოება „კუს ტბის“ გამგეობის თავმჯდომარე პეტრე ბერაია

# გველმა მოდელს მკერდზე უკბინა და მოკვდა



ებრაელი სექსუალური ფოტომოდელი ორიტ ფოქსი ფოტოსესიას ატარებდა, რომელშიც გველიც იღებდა მონაწილეობას. ორიტმა დიდხანს ლოკა ორმეტრიანი ქვეწარმავალი, რითაც მისი გაღიზიანება გამოიწვია და რეპტილია მას მკერდში ეძგერა. დაკბენილი მოდელი საავადმყოფოში მოათავსეს, შრატი გაუკეთეს და იგი მსუბუქი შეშინებით გადარჩა. რეპტილია კი რამდენიმე საათში მოკვდა, სავარაუდოდ, იმპლანტირებული სილიკონით მოიწამლა.

ათბ-ნიუსი




მიდა ღვთისმშობლის ხობის დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ლაშა გამყრელიძე: „გესენში“ დარჩენა აღარ მინდა

**ბოლო მატჩებია, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრი ლაშა გამყრელიძე გერმანული „გესენის" განაცხადში არ გამოჩენილა. ქართველ გამთამაშებელს ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული და მოედანზე გასვლას ვერ ახერხებს, თუმცა, გულზე გული ისედაც აცრუებული აქვს, რადგან „გესენში" ამერიკელი მწვრთნელის მისვლის შემდეგ, სათამაშო დრო აღარ ეძლევა. ახალი დამრიგებელი აქცენტს 33 წლის თანამემამულეზე აკეთებს, რომელიც შტატებიდან ქართველის შემცვლელად ჩაიყვანა, თუმცა, მწვრთნელის გამოცვლის მიუხედავად, „გესენის" წაგებათა სერია გრძელდება.**



ალნიშნულ და სხვა საინტერესო საკითხებზე ლაშასთან ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**ლაშა გამყრელიძე:**

— ფეხის უკანა კუნთი მაქვს დაჭიმული და სავარაუდოდ, ორ კვირაში მწყობრში ვიქნები.

***— და მოედანზეც გიხილავთ?***

— ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ცოტა ხნის წინ ახალი მწვრთნელი მოვიდა. მან ამერიკიდან ჩემი პოზიციის შავკანიანი მოთამაშე ჩამოიყვანა, რომელიც 33 წლისაა, თუმცა, მაინც არაფერი შეცვლილა — „გესენი“ როგორც აგებდა, ისევე აგებს.

***— ბოლოს, როცა მოედანზე იყავით, ცოტას თამაშობდით.***

— ეს სწორედ ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ ხდება. ძირითადად ამერიკელ გამთამაშებელს უწევს მოედანზე ყოფნა.

***— წაგებები რისი ბრალია?***

— იმის, რომ გუნდს არაკომპეტენტური ხელმძღვანელები ჰყავს. წინა მწვრთნელი ფინანსისტი გახლდათ, რომელიც ახლა გენერალური მენეჯერია და გუნდის პოლიტიკასაც კვლავინდებურად ის წარმართავს. როგორც ჩანს, მისი საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია. გუნდს არც ახალი მწვრთნელის მოსვლამ უშველა. ჩემპიონატი 5 გამარჯვებით დავიწყეთ, რის შემდეგაც წაგებების გაუთავებელი სერია დაიწყო და დღემდე გრძელდება.

***— გუნდის გამოცვლაზე არ გიფიქრიათ?***

— სხვათა შორის, მქონდა შემოთავაზებები კვიპროსისა და პოლონეთის გუნდებიდან, მაგრამ „გესენმა“ არ გამიშვა.

***— სეზონის დასრულების შემდეგ რას გეგმავთ?***

— მინდა გერმანიაში დავრჩე. აქ საკმაოდ კარგად მოვეწყვე. თუ არ გამომივა, სავარაუდოდ კვიპროსში, ან პოლონეთში გადავალ. იმედია, იმ გუნდებს, რომლებიც შუა სეზონში მიწვევდნენ, მერეც ვენდომებით. „გესენში“ დარჩენა ნამდვილად არ მინდა.

***— შევიტყვეთ, რომ შესაძლებელია, ეს სეზონი საქართველოს სუპერლიგაში ჩაამთავროთ.***

— ბუნდესლიგის რეგულარული ჩემპიონატი 23 აპრილს მთავრდება. ნათელია, რომ ჩვენი გუნდი ფლეიოფში ვერ გავა. ის კი არა, გავარდნის საშიშროებაც არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში, 23 აპრილიდან თავისუფალი ვარ და დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი სეზონის დარჩენილ პერიოდს საქართველოში. მანდ სწორედ 23 აპრილისთვის ფლეიოფის პირველი წრე იქნება დასრულებული და ფავორიტ გუნდებს გადამწყვეტი მატჩები წინ ექნებათ. თუმცა ვიცი, რომ „არმიასა“ და შსს-ს განაცხადში ადგილები აღარ აქვთ.

***— სამაგიეროდ, სხვა ფავორიტებს, თსუ-სა და „ქუთაისს“ აქვთ.***

— სამწუხაროდ, ჯერ არავინ შემხმიანებია.

***— ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვით?***

— კენჭისყრით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლა რეალურია. ოღონდ, საამისოდ მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. ყველა გუნდი ჯგუფიდან გასვლას გეგმავს და დარწმუნებული ვარ, თითოეული ბოლომდე დაიხარჯება. უმნიშვნელოვნესია მომზადების პროცესის კარგად წარმართვა და ჯანმრთელობის გაფრთხილება. თითოეულ ნიუანსს უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რადგან ფავორიტების შემდეგ, გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან.

***— ნაკრებში თქვენს პოზიციაზე ამერიკელი ტორინ გრინი გვყავს. თუ აკვირდებით მის თამაშს ესპანეთის ჩემპიონატში?***

— გრინი საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს და ეს საქართველოს ნაკრების ქომაგებს თავისთავად უნდა ახარებდეთ.

***— არის კიდევ ერთი ქართულპასპორტიანი ამერიკელი უკანახაზელი ტაირონ ელისი, თუმცა, ფიბა-ევროპა განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებული მოთამაშის შეყვანის უფლებას იძლევა. თქვენი აზრით, რომელი უფრო გამოადგება ჩვენს ნაკრებს?***

— ორივესთან მითამაშია. გრინიც და ელისიც ძალიან სასარგებლო კალათბურთელები არიან. მე უარს არც ერთზე არ ვიტყოდი, თუმცა, საბოლოოდ ვინ ითამაშებს, ეს მწვრთნელმა, იგორ კოკოშკოვმა უნდა გადაწყვიტოს.

# „ბაიერნის“ გულშემატკივრები ვან გაალის წასვლას აპროტესტებენ

მიუნხენის □„ბაიერნის“□ გულშემატკივართა ნაწილი, სეზონის ბოლოს, კლუბის მიერ ლუის ვან გაალთან გამომშვიდობების გადაწყვეტილებას ასაჩივრებს. ბავარიული გუნდის რამდენიმე ასეულმა გულშემატკივარმა, „ჰამბურგთან“□ მოგებული შეხვედრის შემდეგ, მასობრივი აქცია მოაწყო.

სეზონის ბოლოს, ვან გაალის გუნდიდან წასვლის ინფორმაცია გასულ კვირაში გავრცელდა. აქამდე, გულშემატკივრები პროტესტს არ გამოხატავდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, □„ჰამბურგთან“□ 6:0 მოგებამ მათ ჰოლანდიელი სპეციალისტის რწმენა დაუბრუნა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, „ბაიერნის“□ გულშემატკივრებმა მეტოქე გუნდის მხარდამჭერების სექტორში გადასვლა სცადეს, რასაც არეულობა და ერთი პოლიციელის დაშავება მოჰყვა. გარდა ამისა, გულშემატკივრებმა იერიში მიიტანეს კლუბის ოფისზე და მოითხოვეს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრა.გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერნის“□ აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელმა, კარლ-ჰაინც რუმენიგემ უკვე განაცხადა გულშემატკივრებთან შეხვედრაზე თანხმობა.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ქართველი ტალანტი უეფას ობიექტივში

**უეფას ვებგვერდმა ჯანო ანანიძის შესახებ გამოაქვეყნა სტატია. მართალია, ფაქტების უმეტესობა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მაინც საყურადღებოა, თუ როგორ აცნობს უეფა მსოფლიოს ქართველ ტალანტს.**

სიმაღლით მხოლოდ 170 სანტიმეტრია, წონითაც — სულ რაღაც 60 კილოგრამი, მაგრამ რუსულ პრემიერლიგას ჯანო ანანიძემ თავისი კვალი უკვე დაატყო. შარშან ტანმორჩილი თინეიჯერი რუსეთის ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე გახდა, მალე კი ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაზე თამაშით საერთაშორისო გამოცდილებაც შეიძინა.საქართველოს პატარა ზღვისპირა ქალაქ ქობულეთში დაბადებული ჯანო მამის, ამირანის კვალს გაჰყვა. ამირანი ჯერ ფეხბურთელი იყო, მერე კი მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ჯანომ პირველი საფეხბურთო ნაბიჯები მშობლიურ ქალაქში გადადგა, 12 წლისა კი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში გადავიდა. 18 თვე ანანიძემ კიევის „დინამოში“ გაატარა, 2007 წლიდან კი მოსკოვის „სპარტაკის“ წევრია.„სპარტაკის“ სკაუტებმა იგი რუსეთისა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების მატჩში შენიშნეს, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ანანიძემ “სპარტაკის“ დუბლებიდან ძირითად გუნდში 16 წლისამ გადაინაცვლა. სადებიუტო მატჩი მან რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში “კრასნოდართან“ ჩაატარა, მოედანზე 90 წუთი დაჰყო და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

სამი თვის შემდეგ ანანიძემ მოსკოვის “ლოკომოტივს“ გაუტანა და ზემოთ ნახსენები რეკორდიც დაამყარა. ამ მატჩისას იგი 17 წლისა და 8 დღისა იყო. ქართველი ვუნდერკინდის სახელი უმალ დაუკავშირეს “არსენალს“, “მილანსა“ და “იუვენტუსს“, მაგრამ “სპარტაკმა“ საკუთარი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა — ანანიძე არ იყიდება!ჯანო საქართველოს 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იმავე წელს მას დებიუტი ჰქონდა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ის შეხვედრა ქართველებმა თბილისში იტალიასთან 0:2 წააგეს.

2010 წელი მისთვის ისეთივე ეფექტური ვერ გამოდგა, მაგრამ დასამახსოვრებელი ეპიზოდები მაინც იყო — ივლისში ნოვოსიბირსკის “სიბირთან“ “სპარტაკმა“ 5:3 გაიმარჯვა და ანანიძემ დუბლი შეასრულა, ხოლო ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვენიაში ამხანაგური მატჩი მოიგო და ერთი გოლი ჯანოს ანგარიშზეა.

**გამორჩეული მატჩი**
**ბაზელი-სპარტაკი 2:3**

2011 წლის 17 თებერვალი, ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალიჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილი “სპარტაკი“ ევროპის ლიგაზე გადაერთო, სადაც “ბაზელთან“ 0:2-ს აგებდა და ამ ტურნირიდან გავარდნის რეალური საფრთხეც ემუქრებოდა. ანანიძის მოედანზე გასვლის შემდეგ მოსკოველებმა თამაში გამოასწორეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ქართველმა ეფექტური ჯარიმა გაიტანა და თავისიანებს 3:2 მოაგებინა.

**ანანიძე “სპარტაკზე“**

— აქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. “სპარტაკის“ სტილი გაცილებით მომწონს, ვიდრე კიევის “დინამოსი“.

**საყვარელი ამპლუა**

— თამაში მოედნის ცენტრში, თავდამსხმელების უკან მირჩევნია, მაგრამ თუ გუნდს დასჭირდა, ორივე ფლანგზე თამაშიც შემიძლია.

**მიზნები**

— ჩემი უმთავრესი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, დღესდღეობით კი უფრო რეალური მიზანი “სპარტაკთან“ ერთად რუსეთის ჩემპიონობაა.

“სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ვალერი კარპინი ანანიძეზე:

— მისი განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჯანო მოედანზე ძალიან სწრაფად აზროვნებს და ჩანაფიქრსაც იოლად ახორციელებს. მეტოქეები მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ ანანიძეს უმეტესად ვერაფერს უხერხებენ.

# ლოკაუტი გარდაუვალია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა პროფკავშირი კალათბურთელებს მოსალოდნელი ლოკაუტისთვის ამზადებს. ამ მიზნით მან გამოუშვა 56-გვერდიანი წიგნი, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს — „გქონდეს უკეთესის იმედი, მაგრამ მოემზადე უარესისთვის“. მისი მეშვეობით მოთამაშეებს ეცოდინებათ, როგორ მოიქცნენ გაფიცვის შემთხვევაში.

როგორც პროფკავშირის პრესპრესამსახურის თანამშრომელი დენ ვასერმანი იტყობინება, ეს „სახელძღვანელოები“ მოთამაშეებს გასული თვის ბოლოს დაურიგეს.

— წიგნში არ არსებობს მზა რეცეპტი. სანამ ისინი ფიქრობენ, როგორ დახარჯონ თავიანთი ფული, ჩვენ მათ სწორი მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაში დავეხმარებით, — ამბობს ვასერმანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში შეტანილია ათასგვარი რჩევა, თუ როგორ გამოიყენონ უკეთ იპოთეკური კრედიტები, იჯარის თანხები... გარდა ამისა, იქ არის რეკომენდაციები კალათბურთელებისთვის, თავი შეიკავონ ახალი ავტომობილების, ტანსაცმლის და საიუველირო ნაწარმის შეძენისგან. ყველაზე გამაღიზიანებელი პუნქტები ეხება ცოლებთან, ბავშვებთან და აგენტებთან ურთიერთობას.რაც მთავარია, პროფკავშირის შეფი ბილი ჰანტერი წიგნის მეშვეობით აფრთხილებს კალათბურთელებს, რომ ლოკაუტის ალბათობა ძალიან მაღალია.

# არსენ ვენგერი: უეფასგან ბოდიშს ვითხოვ!

არსენ ვენგერი გაცხარდა და გაუგონარ საქციელზე გადავიდა — ლონდონური კლუბის მწვრთნელმა, არც მეტი, არც ნაკლები, უეფას შეუტია. პუნქტსაც არ ვიზიარებ. ვერც კი ვხვდები, რატომ მოუვიდათ ჩვენი დასჯა თავში აზრად. ეს ორგანიზაცია ცოტა მოკრძალებული რომ იყოს, აჯობებდა.



ფრანგმა სპეციალისტმა ბარსელონაში წაგებით გამოწვეულ კრიტიკას გასცა პასუხი. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში “არსენალი“ “კამპ ნოუზე“ გამოეთიშა გათამაშებას.

ვენგერმა უეფას დიქტატორთა ორგანიზაცია უწოდა და ბრალად ამპარტავნობაც კი დასდო. მეტიც, მან ევროპული ფეხბურთის მმართველებს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა — იმ შეცდომებისთვის, რომელიც მათმა გამოგზავნილმა არბიტრმა მასიმო ბუსაკამ ბარსელონაში დაუშვა.“მეთოფეთა“ თავკაცმა ისიც განაცხადა, რომ უეფა მიერ წაყენებულ ბრალდებებს არ დაეთანხმება და სადისციპლინო კომიტეტის წინაშე თავს იმართლებს. მოგეხსენებათ, ბრალდება წაუყენეს “არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველ სამირ ნასრისაც, რომელმაც ბუსაკას მკვახე სიტყვების კორიანტელი დაუყენა.

— უეფას ბრალდებას არ ვეთანხმები და მის ერც იმისათვის, რაც “კამპ ნოუზე მოხდა“, მისი შეფები ბოდიშს რომ იხდიდნენ, გაცილებით სამართლიანები იქნებოდნენ, ვიდრე ახლა, როდესაც უდანაშაულო ხალხს დისკვალიფიკაციას უმზადებენ. ვიმეორებ, სამშაბათის მერე უეფა ცოტა თავდახრილი უნდა ყოფილიყო. ასე უფრო გამოიწვევდა თანადგომას. დღეს “არსენალი“ დასჯილია. ჩვენ ჩემპიონთა ლიგიდან გაგვაგდეს, ანუ ამ სეზონში ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ვეღარ მივაღწევთ. რაც ყველაზე ცინიკურია, ყოველივე ამის მერე უეფა ბოდიშის მოხდას გვთხოვს. ეს ნამდვილი დიქტატორის საქციელი, პირწმინდა ქედმაღლობაა. ჩვენ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. შეჯიბრების ორგანიზატორი უეფაა და მსაჯებსაც ის ნიშნავს. როდესაც ფეხბურთის მოყვარულებს მაღალი დონის თამაშის ნახვის შესაძლებლობა ეძლევათ, მისი გაფუჭება ძალიან ცუდი საქციელია, — განაცხადა ვენგერმა.

# ავთანდილ ხურციძე მსოფლიოს ჩემპიონია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უნდში, ნოკაუტით მოუმთავრა საქმე. ამავე წონაში, ნოკაუტითვე, რუსმა მარატ კულუმბეკოვმა უკრაინელ ანდრეი დანიჩკინს პირველსავე რაუნდში მოუგო. 63,5 კილოგრამში კი უკრაინელმა ვიქტორ პოსტოლმა შვედეთის სახელით მოჩხუბარი უგანდელი, სამ რაუნდო მცირე უპირატესობით დაამარცხა.

**ავთანდილ ხურციძე:**

— მადლობა ყველას, ვინც მიგულშემატკივრა და ბოლოს ჩემი მოგებით გაიხარა. საქართველოში პირველად ვიჩხუბე და ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი სწორედ ჩემს ქვეყანაში მოვიპოვე. ძლიერი მოწინააღმდეგე მყავდა და ძალიან ჭკვიანურადაც მებრძოლა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჯერ ცოტა უნდა დავისვენო, მერე კი... სავარაუდოდ 3 თვეში ტიტულის დასაცავ შეხვედრას ჩავატარებ. სად და ვისთან, ამაზე ლაპარაკი ჯერ ძნელია.

**მარიუშ სენდროვსკი:**

— ხურციძე ძალიან ძლიერი მოკრივეა. დღეს ღირსეულადაც მოიპოვა გამარჯვება და გულწრფელად ვულოცავ. იგი უკვე სხვა ვერსიების საჩემპიონო ქამრების მოსაპოვებლადაც მზადაა და მალე, ალბათ, იქაურ ჩემპიონებსაც დაუპირისპირდება. მე კი მატჩრევანშის შეთავაზებას ვაპირებ. იმედია მოვილაპარაკებთ და შემდეგი შეხვედრა პოლონეთში გაიმართება.

# ჩვენი ხელისუფლება სეპარატისტებთან თანამშრომლობს

გულიკო ბალა ე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია პროტესტს გამოთქვამს დევნილებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულების გამო და ხელისუფლებას ბრალად სდებს სეპარატისტულ და რუსულ ოკუპაციურ რეჟიმებთან თანამშრომლობას, რომელიც დევნილთა საწინააღმდეგოა. კერძოდ, საკითხი ეხება აფხაზეთში დარჩენილ ქართველთა ქონებას.

მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის 14 თებერვლის №124-ე ბრძანებულებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.

ბრძანებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, დევნილებსა და სხვა მოქალაქეებს უნდა მიემართათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცენტრალური და რეგიონალური ორგანოებისთვის, სადაც ისინი მიიღებდნენ უძრავი ქონების აღრიცხვის „დეკლარაციებს“.

დეკლარაციას ოჯახის ყველა სრულფასოვან წევრთან წინასწარი შეთანხმებით ავსებდა დევნილი, რომლის სახელზეც, ყველა პროცედურის გავლის შემდგომ, აღირიცხებოდა და გაიცემოდა უძრავი ქონების „სააღრიცხვო მოწმობა“.

ამ პროექტს დაერქვა საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლი“, რომლითაც სააკაშვილი აფხაზეთიდან დევნილებს იქ დარჩენილი კუთვნილი უძრავი ქონების აღწერა-აღრიცხვაში დახმარებას და დეკლარირებას ჰპირდებოდა, რათა დევნილს მოეპოვებინა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთარი უფლების დაცვის გარანტია.

რეკლამა გვამცნობდა, რომ „ჩემის სახლი“ დევნილის უფლებების დაცვის საწინდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთიდან დევნილი ერთი მოქალაქის იური თურქიასადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა, რომელზეც საუბრობს დეპუტატი ადა მარშანია. მას იური თურქია საქართველოს ხელისუფლების არასახელმწიფოებრივი ცნობიერების, აფხაზეთთან დაკავშირებული სახელისუფლებო პოლიტიკისა და აფხაზ-რუსთა კომისიასთან თანამშრომლობის ნათელ მაგალითად მოჰყავს. იური თურქიას აფხაზეთში დარჩა ქონება — სახლი, სადაც ცხოვრობდა მისი და. თურქიას და გარდაიცვალა, ხოლო იქ არსებული ქონება, ფაქტობრივად, თურქიას ეკუთვნის. თუმცა, საჯარო რეესტრი და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე უარს ეუბნებიან.



იური თურქიამ მიმართა სასამართლოს, სადაც საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქიაზე აფხაზეთში დარჩენილი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი რომ გასცენ, ამით მისი იქაური მეზობლის უფლებები დაირღვევა, რადგან ის 15 წელია იმ სახლში ცხოვრობს.

იური თურქია კი აცხადებს, რომ საქართველოს საჯარო რეესტრმა და სასამართლომ ამ საკითხის განხილვისას, ფაქტობრივად, ოკუპანტის კანონები გამოიყენა, რომელიც მან პრეზიდენტთან გააპროტესტა, მაგრამ არანაირი რეაგირება მას არ მოჰყოლია.

ადა მარშანიას თქმით, „ჩვენ ძალიან კარგი ბერკეტი გვაქვს, მაგრამ საქართველოში ჩვენი ჩინოვნიკები არღვევენ ქართველი დევნილების პირად უფლებებს. ჩვენს ჩინოვნიკებს არ უნდათ, დევნილების უფლებები იყოს დაცული; ამიტომ ისინი ამ საქმეს არ უშვებენ“.

თურქია კი საქართველოში ზოგადად დევნილების პირადი უფლებების დარღვევაზე საუბრობს და ხელისუფლებას ფაქტობრივად კორუფციასა და სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს.

— საქართველოში დევნილების არავითარი დაფინანსება არ ხდება. არადა, საერთაშორისო ინსტიტუტებიდან დიდი თანხა შემოდის. ათეულობით დოლარით დაფინანსების შესაძლებლობა იყო, რომელიც უნდა გადაცემოდათ დევნილებს სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის. ისინი კი, პრაქტიკულად, სეპარატისტულ ბრძანებულებებს ასრულებენ, რომელიც არ ცნობს ქართველი დევნილების უფლებას იქ დარჩენილ პირად ქონებაზე.

ამ შემთხვევაში თვითონ საქართველოს სახელმწიფო არ აძლევს დევნილ იური თურქიას საშუალებას, ისარგებლოს საერთაშორისო სამართლით მინიჭებული უფლებით და აღიარებულ იქნას აფხაზეთში დარჩენილი ქონების მესაკუთრედ. ამიტომ თავისი უფლებების დარღვევის გამო, საერთაშორისო სასამართლოს უკვე მიმართა. პარალელურად მან სააკაშვილსაც მიმართა. სააკაშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია:

— საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2006 წლის 15 ივლისის აპელაციაში და მის მიერ სხვადასხვა დროს გაცემული წერილებით ახდენს თქვენი ავტორიტეტის დისკრედიტაციას, პრეზიდენტის ბრძანებულების არასამართლებრივი განმარტებებით. თავისი ქმედებით ისინი წარმოადგენენ დე-ფაქტო საოკუპაციო რეჟიმების ნორმატიული აქტების შემსრულებლების ხელმძღვანელად, რომელიც გულისხმობს რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ზონებში უძრავი ქონების უპატრონოდ ცნობას. ამით ხდება იმის დადასტურება, რომ საქართველო და მისი პრეზიდენტი უარს ამბობენ საქართველოს იურისდიქციაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საჯარო რეესტრმა თავის საკასაციო საჩივარში თქვენი განკარგულება საერთოდ ძალადაკარგულად გამოაცხადა. საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ არა მარტო შექმნეს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის არაღიარების, არამედ საოკუპაციო-სეპარატისტული ნორმატიული აქტების შესრულების იურიდიული პრეცედენტი. შექმნილია საქართველოს ანექსირებული ტერიტორიების ლეგალიზაციის იურიდიული ფაქტი. ოფიციალურად აღიარებულია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

**ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ადა მარშანიას ესაუბრა.**

— ***ქალბატონო ადა, რატომ არ უნდა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში დარჩენილი დევნილების ქონებაზე მათი უფლების აღიარება?***

— არ ვიცი. ჩვენი მთავრობის თავში ვერ ჩავიხედავ.

— ***ხელისუფლებას იქ დარჩენილ ქონებაზე დევნილებისთვის საკუთრების დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმის არგუმენტი რა შეიძლება ჰ ქონდეს?***

— ამბობენ, რომ იქ საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. იურიდიულად აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, მაგრამ, ფაქტობრივად, ვერ ვაკონტროლებთ. დღევანდელი მდგომარეობით, იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთში ძალიან სერიოზული და უამრავი ქონება გაგვაჩნია. ქოხიც რომ იყოს, ისიც მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი სამშობლო და ჩემი სახლია. აბსოლუტურად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხში რუსულ იმპერიალისტურ და ადგილობრივ სეპარატისტულ ხელისუფლებებთან აქტიურად თანამშრომლობს. ეს არის გადაუჭარბებელი შეფასება. ამ შეფასებას არ ვაკეთებ როგორც რადიკალი ოპოზიციონერი ადა მარშანია, ამ შეფასებას ვაკეთებ საბუთებიდან, სასამართლო გადაწყვეტილებებიდან და ჩვენი სახელმწიფო საჯარო რეესტრის მოქმედებიდან გამომდინარე, რომელიც უარს ამბობს იქ, სადაც უარი არ არის სათქმელი. ჩემი ეს პოლიტიკური განცხადება, იურიდიულად აბსოლუტურად დასაბუთებულია. არ მიხარია, დიდი გულისტკივილით ვამბობ. ეს არ არის ნიშნის მოგება, უი, რა კარგი რამ აღმოვაჩინე ამ ხელისუფლების წინააღმდეგ-მეთქი. ეს აფხაზეთის მოსახლეობისთვის ისეთი ტრაგედიაა, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რა ხელისუფლებაა. ასეთი დამოკიდებულება ცუდია აფხაზეთიდან დევნილებისა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოსთვის. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და მისი ქვეშევრდომი სტრუქტურები — სახელმწიფო რეესტრი, სამინისტროები, სასამართლოები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც რუსეთის იმპერია და სეპარატისტული რეჟიმები. ერთადერთი, უზენაესი სასამართლო დარჩა და, ვნახოთ, რას გვიპასუხებს. გასული წლის ნოემბერში მათ შექმნეს შერეული კომისია, რომელიც ქართველებს აფხაზეთში ქონების შეძენას უკრძალავს. ზუსტად ისე გვექცევა საქართველოს ხელისუფლებაც. სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა შექმნეს აფხაზ-რუსთა კომისია, რომელმაც სასწაული რამ განაცხადა. მათ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ადეკვატურად უპასუხა, რომელსაც აბსოლუტურად ვეთანხმები. როცა დიპლომატი, თან საგარეო საქმეთა მინისტრი, ასეთი შინაარსის განცხადებას აკეთებს, ჩანს, რა კომისიაც შექმნეს და რა განცხადებაც გააკეთეს. მათ თქვეს, რომ არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების, არამედ რუსეთში მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი, ქართული წარმომავლობის რუსეთის მოქალაქეების განცხადებებსაც არ განიხილავენ. ეს არის კლასიკური ფაშიზმი და აბსოლუტურად ადეკვატური განცხადება გააკეთა ვაშაძემ. აბსოლუტურად მესმის მისი აღშფოთება.

— ***რას მიაწერთ იმას, რომ ამავე დროს ქართული ხელისუფლებაც ზღუდავს დევნილის უფლებას, აღიარებულ იქნას აფხაზეთში დარჩენილი ქონების მესაკუთრედ. მაინც, რატომ უნდა აკეთებდეს ამას ხელისუფლება?***

— ამიტომ მაინტერესებს, იცის თუ არა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომ იგივეს აკეთებს საქართველოს ხელისუფლება? იცის, რომ ზუსტად იგივე დამოკიდებულებაა ჩვენი მოსახლეობის მიმართ აქ, ჩვენი, ქართული ხელისუფლების მხრიდან? რატომ ხდება ასე, დღემდე ვერ გამიგია. ბატონი იური თურქია, რომლის საქმე ამის მაგალითია, ვარაუდობს, რომ ამაში ხელისუფლებამ დიდი ფული აიღო. ჩვენი ხელისუფლების უნამუსო ქმედებებიდან გამომდინარე, ეს არ არის გამორიცხული.

— ***ხელისუფლება ამის სანაცვლოდ ფულს ღებულობს?***

— დიახ, არ არის გამორიცხული. იმ ფულს, რომელიც საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, უცხოეთიდან ვღებულობთ, ჩვენს ხალხს არ აძლევენ. არ მინდა ეს დავიჯერო, მაგრამ იმდენი უნამუსო ქმედება და საშინელება ჩაიდინა ხელისუფლებამ, რომ დასაჯერებელია. კოდორისა და აგვისტოს შემდეგ, ყველაფერი მჯერა. დაუჯერებელიც მჯერა უკვე. ბატონ იურის მიაჩნია, რომ რუსებთან და სეპარატისტებთან ერთად ჩვენს იძულებით დატოვებულ სახლებზე, ბინებსა და ქონებაზე, საქართველოს ხელისუფლება ფულს აკეთებს. ის სეპარატისტებთან და რუსებთან ალიანსშია. უბრალოდ, ქართული სახელმწიფო ოფიციალურად მთლად იმ კომისიის წევრი ვერ იქნება, მაგრამ ფაქტობრივი წევრი არის. ბატონი იური სრულიად დარწმუნებულია, რომ ის პროექტი ამათი დაწერილია. სეპარატისტები და რუსები მხოლოდ განცხადებას აკეთებენ, რომ არ განიხილავენ, მაგრამ ესენი ახორციელებენ. საქართველოს საჯარო რეესტრი არ გვაძლევს საკუთრების უფლებას. რეესტრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ჩვენი ქართული სასამართლო სასწაულ გადაწყვეტილებას ღებულობს. რომ ეუბნები, ის ჩემი სახლია და საბუთი მომეცი, საბუთს რატომ არ მაძლევო, სასამართლო პასუხობს, შენს სახლში 15 წელია შენი მეზობელი ცხოვრობს, ადგილობრივი და, მე რომ ახლა ის ქონება დაგიმტკიცო, მას ხომ დავჩაგრავო. გეგონება, ბატონი თურქია 15 წელი ტაილანდის „პლაჟზეა“ წასული და იმიტომ არ შევიდა თავის სახლში. გაიგეთ, რა პასუხი მიიღო კაცმა?

— ***რატომ წუხს საქართველოს საჯარო რეესტრი და ქართული სასამარ-***

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## როგორი აღმზრდელი ხართ

ტესტი



1. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს საკუთარი ოთახი? (დიახ 3, არა 1)
2. თუ უთმობთ ბავშვს ყურადღებას ყოველდღიურად? (დიახ 3, არა 1)
3. მოთმინებით თუ უდგებით ბავშვს, როდესაც ჭირვეულობს, ან ცუდად ჭამს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
4. პატიობთ თუ არა ბავშვებს პატარა ცელქობებს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
5. თუ მიმართავთ დასჯის ფიზიკურ მეთოდებს? (დიახ 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
6. გინდათ თუ არა, რომ ბავშვმა ყველაფერი გაგიზიაროთ? (დიახ 3, ხანდახან 2 არა 1)
7. თუ რამეს უკლხალავთ ბავშვს, თუ უხსნით, რატომ? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
8. თუ არის თქვენი შვილი დამჯერი? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
9. თუ მოითხოვთ ბავშვისგან ყველა მოვალეობის შესრულებას, რაც მას აკისრია (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
10. თუ ადევნებთ თვალს სპეციალურ პედაგოგიურ ლიტერატურას? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

### პასუხები

**10-16 ქულა:** მგონი არასწორად ზრდით შვილებს, რაც უფრო ნაკლებია თქვენს მიერ მოგროვილი ქულების რაოდენობა, მით უფრო მეტად მჟღავნდება ეს.

**17-23 ქულა:** თქვენი შეხედულებები ბავშვების აღზრდაზე ძირითადად სწორია, თუმცა, ბავშვს მუდმივი ზრუნვა ესაჭიროება, თორემ პრობლემები გაგიჩნდებათ.

**24-30** ქულა: როგორც ნიჭიერი აღმზრდელი, დიდ მადლობას იმსახურებთ, გიყვართ ბავშვები, გყოფნით მოთმინება მათთან ურთიერთობისას.



## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რელიგური წესი, რომელიც კრძალავს ხორცეულითა და რძის პროდუქტებით კვებას; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. გაზის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 5. აეროპორტი ტოკიოში; 6. კუთხე საქართველოში; 7. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 11. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 13. პეკინის მეორე სახელწოდება; 14. ჯილდო გამარჯვებისათვის; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. გარეული ფრინველის ხორცისგან მომზადებული ბულიონი; 17. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 19. სპირტიანი სასმელი; 20. გერმანელი კომპოზიტორი.

თარაზულად: 1. საველე, გეოდეზიური სახაზავი მაგიდა; 4. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 9. აღმოსავლური ტკბილეული; 10. სურსათ-სანოვაგე; 12. თვითმართული წყალქვეშა ჭურვი; 14. მდგომარეობა ჭადრაკში; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. კუთხე საქართველოში; 23. შემოდგომის ხილი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. გამსახურდია; 2. ამია; 3. ინა; 4. ირაო; 5. იმა; 6. სტომაქი; 7. უნისონი; 8. აქატი; 9. პაროდია; 10. აია; 11. სე; 12. დო; 13. იადონი; 14. არე; 15. მანდილი; 16. მისის; 17. მაკრელი; 18. არფა; 19. მაგელანი; 20. ასია; 21. ლეპრა; 22. ბისტრო; 23. სერ; 24. კამილ; 25. პალიასტომი; 26. გეიმი; 27. სითბო; 28. ესტონეთი; 29. ხამსა; 30. პრომეთე; 31. თხა; 32. კალაპოტი.

**სურათებზე:** ლედი გაგა; ასამოა გიანი.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კარატი; 4. ლანგარი; 7. ასტამი; 9. ტარიფი; 11. აკლდამა; 12. ლაზურიტი; 13. ჟილეტი; 17. ქარტია; 18. მორი; 19. არბიტრაჟი; 20. ლილიფარა.

**შვეულად:** 1. კინო; 2. ტატრა; 3. კვირტი; 5. ალალი; 6. რიკოშეტი; 8. მიკროსკოპი; 10. ამბიონი; 12. ლიტავრა; 14. პრერია; 15. მარინა; 16. ქლიბი.

# ხელისუფლებაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხში ერთსულოვნება არ არის

გერა მამულაშვილი

ხელისუფლება და ოპოზიცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის მოლაპარაკებებს აწარმოებენ. თუმცა, ეს დიალოგი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და ოპოზიცია ამის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავს. ე.წ. რვიანის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ სამართლიან საარჩევნო გარემოზე შეთანხმება ვერ მოხდება, მაშინ ქვეყანა სერიოზული რევოლუციური საფრთხეების წინაშე აღმოჩნდება.

ამ თემაზე „ახალი თაობა“ ექსპერტს, რესპუბლიკური პარტიის წამომადგენელ ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრება.

***— ოპოზიციური რვიანი ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებას აწარმოებს. ამ თვალსაზრისით რა რეალური პერსპექტივები არსებობს?***

— ჯერჯერობით გამიჭირდება იმის თქმა, თუ რის მიღწევა იქნება შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. ამის ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, გახლავთ ის, რომ თავად ხელისუფლების გუნდში ერთსულოვნება არ არის. არ არის მათი მხრიდან მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება იმის თაობაზე, თუ რას შეიძლება დათანხმდნენ. საერთოდ რაზე შეიძლება წავიდნენ.

სხვაგვარად ვერ ავხსნით იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან იანვრის ბოლოსთვის გასაცხადებელი პოზიცია, ჯერაც არ არის გახმოვანებული. მოგეხსენებთ, რომ საარჩევნო გარემო ერთი რომელიმე საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს. ეს არის მთელი კომპლექსი პრობლემების. მხოლოდ ერთი საკითხის სწორად გადაწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ მოგვცემს სასურველ შედეგს.

***— მაინც რაზე მახვილდება ძირითადი ყურადღება?***

— ამ საკითხთა კომპლექსში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახლავთ ყბადაღებული ამომრჩეველთა სიები.

რამდენიც არ უნდა გვიმტკიცონ, რომ საქართველოში სამი მილიონ შვიდასი ათასი ამომრჩეველია, იმ პირობებში, როცა ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონ 400 ათასია, ამას ვერც ერთი ჯკუათმყოფელი ადამიანი ვერ დაიჯერებს. შეუძლებელია, თვრამეტი წლის ასაკამდე მოსახლეობის რაოდენობა იყოს 700 ათასი და 18 წლის ასაკს ზევით, 3 მილიონ 700 ათასი. უბრალოდ შეუძლებელია ასეთი პროპორცია არსებობდეს.

შესაბამისად, ამომრჩეველთა სიაში აშკარად არის ისეთი სახელები და გვარები, რომლებიც ბუნებაში ან საერთოდ არ არიან, ან ერთი და იგივე ადამიანი განსხვავებული პარამეტრებით (მისამართის, სახელში ერთი ასოს შეცვლით ან სხვ.) სიაში რამდენიმეჯერ მეორდებიან. ამით ხელისუფლებას საშუალება ეძლევა, მოახდინოს ამ ადამიანების მეშვეობით მანიპულირება; ეს იმ პირობებში, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა რგოლში (საუბნო კომისია იქნება, საოლქო, თუ ცენტრალური) ხელისუფლების წარმომადგენლებს უმრავლესობა გააჩნიათ. ეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არ გვაქვს დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო.

ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ამომრჩეველთა ზუსტი სიების დადგენა და შემდგომ არჩევნების დროს იმ ე.წ. კარუსელების გამორიცხვა; ერთი ადამიანის მიერ სხვების ნაცვლად ხმის მიცემა; შემაჯამებელ ოქმებში მიწერების გაკეთება.

***— უფრო დავაკონკრეტოთ ეს მომენტი.***

— ჩვენ ხომ გვაქვს საარჩევნო უბნები (ნებისმიერ არჩევნებში), სადაც თურმე არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა ას პროცენტს, ან 99 პროცენტიდან ყველას ერთსულოვნად მმართველი პარტიისთვის ხმა მიუცია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ეს მმართველი პარტია ნაციონალური მოძრაობა იყო თუ მოქალაქეთა კავშირი. ან თუნდაც აღორძინება. ასეთი შედეგი ყოველთვის დგებოდა.

აქაც რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ თავისი საარჩევნო უბნიდან უარავინ არ წასულა სხვაგან? რომ ყველა ადგილზე იყო? ისინი კი ვინც ადგილზე იყვნენ, ყველამ მოინდომა და მივიდა ხმის მისაცემად. მაგრამ ყველამ მმართველ პარტიას ხმა მისცა. ასეთი რამ არ არსებობს ხოლმე.

***— ყველაზე ხშირად ეს სად ხდება ხოლმე?***

— თქვენ თუ სტატისტიკას გადახედავთ, სად ხდება ეს, ნახავთ, რომ ეს ერთსა და იმავე ადგილებში ხდება. ეს ხომ აბსურდია. ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის ამ პრობლემის გადაჭრა. სწორედ ეს შესთავაზა რვიანმა საზოგადოებას. ეს არის ამომრჩეველთა აღრიცხვა ისეთი უნიკალური ნიშნის მიხედვით, როგორიცაა ბიომეტრიული მონაცემები. ეს არის თითების ანაბეჭდი და შემდგომ არჩევნების დღეს უბანზე მისული ამომრჩევლის ვინაობის დადგენა ამ თითის ანაბეჭდის მეშვეობით. ეს ჩვენ იმის საშუალებას მოგვცემს, რომ სია გვქონდეს სუფთა და ამ სიაში მოხვდებიან მხოლოდ ის ადამიანები, ვინც გაივლის ამ აღრიცხვას.

შესაბამისად, დაახლოებით მილიონ-ნახევარი მოქალაქე, ვინც საქართველოდან არის გასული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს



არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, თუ გაივლის ამ რეგისტრაციას.

ისე, ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ არც ერთი არჩევნების დროს საზღვარგარეთ მყოფ ადამიანთაგან, 30 ათას კაცზე მეტს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ეს რიცხვი დაახლოებით 20 ათასის მიდამოშია ხოლმე. არადა, ეს მილიონზე მეტი ადამიანი არის ამომრჩეველთა სიებში. შემდგომ უკვე უწესო კომისიის წევრისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს, ამ ადამიანის გასწვრივ ხელი მოაწეროს, აიღოს ბიულეტენი, შემოხაზოს ხელისუფლების კანდიდატი და ეს ბიულეტენი ყუთში ჩააგდოს.

თუ ჩვენ ამ ბიომეტრიული აღრიცხვის მეთოდს გამოვიყენებთ და ამომრჩევლების დადგენას თითის ანაბეჭდების მიხედვით, მაშინ ამას უკვე ველარავინ გააკეთებს. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმული იმისკენ, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს.

***— როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხზე?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებამ რა პოზიციაც გამოხატა, არის ასეთი — ისინი თანახმანი არიან, ჩატარდეს ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებით ამომრჩევლების აღრიცხვა მხოლოოდ თბილისში. ჯერჯერობით ხმამაღლა, ოფიციალურად არაფერი უთქვამთ ამომრჩევლების ვინაობის დადგენაზე არჩევნების დღეს თითის ანაბეჭდის გამოყენებით, მაგრამ აღრიცხვა რომ თბილისში გაიმართოს, ამაზე თანხმობა არის.

***— ასეთი პოზიცია როგორ შეიძლება გავიგოთ?***

— კარგია ის, რომ კატეგორიული უარი არ ითქვა ბიომეტრიული პარამეტრებით აღრიცხვის გამოყენებაზე; თუმცა, კიდევ რჩება კითხვა, თუ რა ბიომეტრიულ პარამეტრებზე იქნება საუბარი. მარტო ფოტოსურათზე, თუ თითების ანაბეჭდებზეც. რადგან მარტო ფოტოსურათი დაახლოებით 80 პროცენტიან სიზუსტეს, ხოლო თითების ანაბეჭდი თითქმის ასპროცენტიან სიზუსტეს გვაძლევს. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, რომ გამოყენებულ იქნეს როგორც ფოტოსურათი, ასევე თითების ანაბეჭდი.

უარი რომ არ ითქვა ზოგადად ბიომეტრიის გამოყენებაზე, ეს არის კარგი და იმედს იძლევა, რომ საზოგადოების ფართო მხარდაჭერის შემთხვევაში, შეიძლება იმასაც მივაღწიოთ, რომ ეს ბიომეტრიული აღრიცხვა მთელ საქართველოში მოხდეს და არა მხოლოდ თბილისში.

თბილისში ამომრჩევლების დაახლოებით ერთი მეოთხედია. სამი მეოთხედი თბილისს გარეთაა. თან ყველაზე ნაკლებად არჩევნების შედეგების გაყალბება თბილისშია შესაძლებელი. თბილისელი ამომრჩეველი უფრო მომზადებულია, უფრო კვალიფიცირებულია. შიშის ფაქტორი დედაქალაქში უფრო ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე სოფლად. ამიტომ ამ თვალსაზრისით თბილისში პრობლემები ნაკლებადაა. თუ მხოლოდ თბილისში ჩავატარეთ ეს აღრიცხვა და სამ მეოთხედში ხელისუფლებას მიეცა იმის კეთების შესაძლებლობა, რასაც აქამდე სჩადიოდა, ამით სასურველი შედეგი სამართლიანი არჩევნებისთვის სათანადო პირობების შექმნისა, ვერანაირად ვერ მიიღწევა. ეს არის ერთი ფაქტორი, რის თაობაზეც ხელისუფლებამ თავისი მოსაზრება გამოთქვა. ვფიქრობ, რომ აქ შესაძლებელია პროგრესის მიღწევა.

***— შემდეგი მთავარი პრობლემატიკა რაში მდგომარეობს?***

— მეორე, რის თაობაზეც ხელისუფლებამ თავისი მოსაზრებები გამოთქვა, ეს არის საარჩევნო სისტემა. აი, აქ კი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი წინადადებები დიამეტრულად ეწინააღმდეგება იმ პოზიციას, რომელიც რვიანმა გასული წლის განმავლობაში წარადგინა. ხელისუფლებამ საარჩევნო ვარიანტის ცვლილების სამი ვარიანტი წარმოადგინა. აქედან ორ ვარიანტში გაზრდილია მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა, სადღაც რვაათი კაცით. ჩემი აზრით, პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა მიზანშეწონილი არ არის, ამას ზოგადად ვამბობ. მეორე, როგორც მოგახსენეთ, მაჟორიტართა რაოდენობა ხდება მეტი, ვიდრე პროპორციულად ასარჩევთა რაოდენობა. რას მოგვცემს ასეთი ცვლილება? აქ უნდა შევხედოთ ისევ სტატისტიკას. ანუ როგორი იყო არჩევნების შედეგები, ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

## სამგლოვიარო განცხადებები



### როლანდ ქოჭუას ხსოვნას

სიკეთეს, სიცოცხლეს ეტრფოდი. სინდისიერად, კაცური ღირსებით იარე და კვალი სხივნათელი დატოვე. მარტის ღამის დასეტყვილმა წუთებმა გაიყოლეს შენი ულამაზესი, სიღრმით აღსავსე ლურჯი თვალები. ლამაზი სიცოცხლე სიკვდილს დაენიძლავა, მაგრამ წინ აესვეტა ილბალი და განაჩენმა თავისი მკაცრი სიტყვა თქვა.

ოცნებააუხდენელი ფიქრები ცრემლად დაიღვარნენ, ღამის სიმყუდროვეში განიბნენ და შენი ვაჟკაცური, მართალი სული ზეცაში გაიწვიეს.

როგორ გიყვარდა სიცოცხლე და როგორ ჟინიანად მიისწრაფვოდი მისკენ, როგორ ესათუთებოდი ბუნებას, რომელიც ახლა შენს მიტოვებულ ფიქრებს რუდუნებით ინახავს!

დიდთან მართალ და კაცურ სიტყვას ამბობდი, პატარასთან პატარა იყავი. დაიბადე, იცხოვრე და ვაჟკაცურად, დაუჩოქებლად წახვედი! სული შენი ანგელოზებმა ზეცაში წაიყვანეს.

**„იყო შთაგონება, სიცოცხლის ხალისი;**
**დღეს ასვეტილა ეულად წარსული.**
**დგას მწუხარება უსაზღვრო სინანულის,**
**სული ლამაზი ზეცაში წასული“.**
**დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა!**

დიდი მეგობრული სიყვარულით, ია ქოჭუა

---

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მათ ავტოკატასტროფაში დაეღუპათ უახლოესი ნათესავი

**თამრიკო ზურაბის ასული ქლენტი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცრემლი

**სერგუნა გოგიას**

ჯიშიან ვაზზე სამამულე რქად იღერებდი ყელს, სერგუნა, მსხმოიარობა არ გეღირსა, რით ვანუგეშოთ შენი მშობლები, ჩვენო ლამაზო ბიჭო?

ალბათ, მხოლოდ იმით, რომ შენი უცოდველი სული უკვე ზეცის საუფლოს ბინადარია.

**სიკეთეს ქვეყნად სანთლად ანთებდი,**
**შენი სიცოცხლე სიმღერას გავდა**
**სიკვდილს ყველაფერს ვაპატიებდით,**
**ყველაფერს, შენი სიკვდილის გარდა.**

ანდრია ეების ოჯახი

---

გულივერ ხინთიბიძე, გურამ ღლონტი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**გურამ კონსტანტინეს ძე ჯურხაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ჩვენი ხელისუფლება სეპარატისტებთან თანამშრომლობს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

***თლო და ზოგადად ხელისუფლება თურქიას სახლში უკანონოდ შეჭრილ ადგილობრივ მეზობელზე?***

— თურქიას მეზობელი აფხაზეთში მის სახლში უკანონოდაა შეჭრილი. ამიტომ სწორედ ეს მინდა ვკითხო ჩვენს ხელისუფლებას, რატომ წუხს თურქიას იქაურ მეზობელზე, რომელმაც უკანონო ქმედება ჩაიდინა? ჩვენ ეს რეესტრის წარმომადგენელს ვკითხეთ, მაგრამ მას პასუხი არ აქვს. თავიდან პასუხი არ იყო არგუმენტირებული, თუ რატომ არ იძლეოდნენ საკუთრების საბუთებს. შემდეგ, როცა სასამართლოში დაიბარეს, უპასუხა, თქვენს სახლში თქვენი მეზობელია შესული და საკუთრების საბუთს ვერ მოგცემთო.

***— რა იცის საქართველოს საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა, ვინ არის შესული დევნილი თურქიას სახლში, აფხაზეთში?***

— მეც ეს მაინტერესებს, რა იცის საქართველოს საჯარო რეესტრმა, ვთქვათ, ჩემს სახლში, სოხუმში, ვინ არის შესული?

***— საქართველოს საჯარო რეესტრს ამის თქმის უფლება აქვს? ამ შემთხვევაში, ალბათ, იურიდიულ-პოლიტიკური ფაქტორიდან გამომდინარე უნდა იმსჯელოს. იურიდიულად აფხაზეთში დარჩენილი ქონება თქვენია. რა იციან, იქ ვინ ცხოვრობს, ან რატომ მოაქვთ ეს მიზეზად?***

— როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს სეპარატისტული ხელისუფლების, რუსული საოკუპაციო ხელისუფლებისა და ჩვენი, საქართველოს ხელისუფლების აშკარა თანამშრომლობასთან.

***— შეიძლება თურქიას მეზობელი სახლის დატოვების წინააღმდეგი არ არის, ესენი წინასწარვე უარს რატომ ამბობენ?***

— ის ქალი რას იზამს, სხვა საკითხია. შენ მე, აქ, მშობლიური, ქართული ხელისუფლება რატომ არ მიკანონებ ჩემს ქონებას? საქართველოს საჯარო რეესტრმა, ფაქტობრივად, სასამართლოში აღიარა თანამშრომლობა სეპარატისტულ ხელისუფლებასთან.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 15 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 04.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ჩემპიონთა ლიგა **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. მერვედფინალი. **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"ჯილიანს დაბადების დღეზე"** (მ. პფაიფერი) (სუბტ.) **05.00** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ.ფ.**"გრძნობა და გონება"** **01.00** მხ. ფილმი **"გოძილა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** ჯეოსელის გათამაშება (პირდ.) **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. მანჩესტერი-მარსელი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფილმი **"ლამაზი ჯონი"** (18) (მ. რურკი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 12.25 ტვ-მარკეტი 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოგას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლოგას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 00.30 მხ. ფ."კომანდო" (15) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი "მზის ბნელი მხარე" (ბ. პიტი) (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი" (12) (სუბტ.) 06.30 სერ. "ზოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "საპოვნელა" **10.50** ერთსულოვანი ოჯახი **11.10** მხ. ფილმი **"გალოგის რაინდები"** **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **13.30** კონცერტი – სესლია ბარტოლი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ბესამე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** მოკლემ. ფილმი **"გავშვები"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"განაჩენი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა **00.40** შარავანდედი **01.05** დოკ. ფილმი "წერილი ძმას"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსი
2011 წლის 15 მარტი

აშშ დოლარი — 1,713

ევრო —2,3782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7723

რუსული რუბლი — 0,0605

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 8-12, ღამით — 9-4

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-29, ღამით — 8-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2-§, ღამით — -8-2

## ამინდის პროგნოზი 15 მარტისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო”

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


# ავთანდილ ხურციძე მსოფლიოს ჩემპიონია

**საერთაშორისო კრივის ორგანიზაციის, იბო-ს ვერსიით, საშუალო წონაში მსოფლიოს ქართველი ჩემპიონი ჰყავს. საკრივო სამყაროში "ტორნადოს" ზედმეტსახელით ცნობილმა ავთანდილ ხურციძემ 13 მარტს სპორტის სასახლეში საჩემპიონო ქამრის მოსაპოვებლად გამართულ 12-რაუნდიან ბრძოლაში პოლონელი მარიუშ სენდროვსკი ქულებით დაამარცხა.ხურციძემ თავისზე ერთი თავით მაღალ მოწინააღმდეგესთან უპირატესობა ბრძოლის დასაწყისშივე მოიპოვა და 12 რაუნდის განმავლობაში მძლავრად უტევდა. სენდროვსკი ცდილობდა შორიდან ეჩხუბა, ხოლო როცა დისტანციის დაცვას ვერ ახერხებდა, ძლიერი დარტყმებისგან თავის დასაცავად უმალ ჭიდაობაზე გადადიოდა.**



ამ ტაქტიკამ გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა, მაგრამ ნოკაუტით მარცხს კი აშკარად გადაარჩინა. საბოლოოდ, მსაჯებმა ქულები ასე დათვალეს: 117:111, 120:108, 116:112 ავთანდილ ხურციძის სასარგებლოდ. ამ ბრძოლამდე ქართველ საშუალოწონოსანს პროფესიულ რინგზე 26 შეხვედრა ჰქონდა გამართული (22 მოგება, 2 წაგება, 2 ფრე), ხოლო მატიუშ სენდროვსკის — 25 (21 მოგება, 2 წაგება, 2 ფრე).

უკრაინული საპრომოუთერო კომპანიის, “ელიტ ბოქსინგ პრომოუშენისა“ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული საკრივო საღამოს ცენტრალურ ბრძოლამდე სპორტის სასახლეში 5 სარეიტინგო შეხვედრა გაიმართა. 69,8 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ამბროსი სუთიძისა და რობინზონ ომსარაშვილის შეხვედრა ფრედ დასრულდა. 61,2 კილოგრამში ბექა საჯაიამ რუბენ მოვსესიანს ქულებით სძლია. 72,6 კილოგრამში ბორის მდინარაძემ უკრაინელ ვალენტინ ვოლოხას მესამე რა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 15 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, რისკი არ არის გამართლებული. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **მშვილდოსანი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **თხის რქა** — არ ღირს ექსპერიმენტების ჩატარება, ჩვეულ სტილში იმოქმედეთ. **მერწყული** — არ არის საჭირო ზედმეტი დაღლა, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



***

— ფული, ძვირფასეულობა, დამარილებული თევზი გაქვს?

— თევზი რა შუაშია?

— აჰა, მაშ, ფული და ძვირფასეულობა გაქვს!

***

— ყველაზე ცუდი სიბერეში სკლეროზია, მაგრამ მისი დავიწყებაც შეიძლება...

***

— საინტერესოა, კარტოფილსა და ზვიგენს შორის გენების გაცვლა თუ არის შესაძლებელი?

— შენ რა გაინტერესებს, კბენია კარტოფილი თუ გახამებული ზვიგენი?

***

— ჩვენი გოგონა ცეკვავს და მღერის. ვერ გაგვირკვევია, რომელს გაჰყვეს, ცეკვას თუ სიმღერას.

— მგონი, სჯობს, მოცეკვავე გახდეს.

— რატომ? ნახეთ როგორ ცეკვავს?

— არა, მის სიმღერას მოვუსმინე...

***

ქმარი ცოლთან ჩივის.

— ვერაფერი გამიგია, სამართებელი მგონი ახალია, არადა, არ პარსავს.

— უცნაურია, ლინოლეუმს კარგად ჭრიდა...

გ. თ.

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. დეპეშების მიმღებ-გადამცემი ძველებური სატელეფონო აპარატი; 2. სამონასტრო კომპლექსი ოჩამჩირის მახლობლად; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. წყალგარეული ღვინო; 6. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველი ქართული სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. ბილიარდის სათამაშო სპეციალური ჯოხი; 16. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 18. კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 7. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. მე-12 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გუმბათოვანი ტაძარი სამაჩაბლოში; 15. ცხარე საწებელი; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 21. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ნორვეგიაში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა“ და „საოჯახო ბიბლიოთეკა“

გთავაზობთ

# სუპერპროექტს

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 1

## განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი